საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 სექტემბერი, 2014 წელი.

№193 (7574)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელშიც ბეჯდვეტი სიფცვაა, ფცეტილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა ეკერტისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



მურმანის სამოურავო, აჩიკოს პაპიკო, გურამიკოს ლევანიკო,

6

ანუ ტრიუმვირატი ვერ იყოფს აჭარას...

ნაციონალები აშკარად შლიან ახალ ანტისახელმწიფოებრივ ფრონტს



მელორ სტურუა: მიშა ბრუკლინში

4

როგორ ცხოვრობს სააკაშვილი ამერიკაში

მიწების გასხვისების წესი შეიცვალა

3

კურტანიძის გადაწყვეტილებას პრეზიდიუმმა მხარი არ დაუჭირა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში ყველაფერი ძველებურად რჩება. პრეზიდენტ ლუკა კურტანიძის მიერ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელების რევაზ მინდორაშვილისა და ბეგი დარჩიას გათავისუფლების გადაწყვეტილებას პრეზიდიუმის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს. სხდომაზე ნაკრების მოქმედ და ვეტერან მოჭიდავეებსაც მოუსმინეს, რომელთა მთავარი მოთხოვნაც კურტანიძის გადადგომა იყო. პრეზიდიუმმა კონკრეტული რეაგირებისაგან ამ შემთხვევაშიც თავი შეიკავა.

10

◎ დავესწარი, ვნახე, რა ვნახე!..

სიცრუე დედაენას სჯობს?!

ფანტაზია რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის მიხედვით

9

თენგიზ აბულაძის ფენომენი

11



სოსო პავლიაშვილი: ცოლს „ჩემ ძუ მგელს“ ვეძახი

12

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

47 ქვეყანა, სადაც პერსონალურ მონაცემთა გადაცემა უსაფრთხოა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა პირველი ნორმატიული აქტი გამოსცა, რომელშიც ის 47 ქვეყანაა დასახელებული , სადაც პერსონალური მონაცემების გადაცემა უსაფრთხოა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ინსპექტორმა სიის შედგენის დროს სხვადასხვა კრიტერიუმით იხელმძღვანელა, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები შეაფასა და ქვეყნებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საქმიანობა შეისწავლა.

„თეთრი სია“ ევროპის საბჭოში შემავალ სახელმწიფოთა უმრავლესობას მოიცავს, ასევე ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, კანადას, მოლდოვას და უკრაინას.

2014 წლის 16 სექტემბრიდან დასახელებულ ქვეყნებში პერსონალური მონაცემების გადაცემა აღარ საჭიროებს ინსპექტორის ნებართვას.

დოკუმენტი განკუთვნილია საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის, რომელთა საქმიანობა გულისხმობს სხვა ქვეყნებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემას.

გამოქვეყნებული სიის მიღმა დარჩენილ ქვეყნებში პერსონალურ მონაცემთა გადაცემისთვის კვლავ აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნებართვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნებია: **1.ავსტრალიის თანამეგობრობა; 2.ავსტრიის რესპუბლიკა; 3.ალბანეთის რესპუბლიკა; 4.ანდორის სამთავრო; 5.არგენტინის რესპუბლიკა; 6.ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკა; 7.ახალი ზელანდია; 8.ბელგიის სამეფო; 9.ბოსნია და ჰერცოგოვინა; 10.ბულგარეთის** რესპუბლიკა; 11. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო; 12.გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; 13. დანიის სამეფო; 14.ესპანეთის სამეფო; 15.ესტონეთის რესპუბლიკა; 16. ირლანდია; 17.ისლანდიის რესპუბლიკა; 18.ისრაელის სახელმწიფო; 19.იტალიის რესპუბლიკა; 20.კანადა; 21.კვიპროსის რესპუბლიკა; 22.ლატვიის რესპუბლიკა; 23.ლიტვის რესპუბლიკა; 24.ლიხტენშტეინის სამთავრო; 25.ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო; 26.მალტის რესპუბლიკა; 27.მოლდოვას რესპუბლიკა; 28.მონაკოს სამთავრო; 29.მონტენეგროს რესპუბლიკა; 30.ნიდერლანდების სამეფო; 31. ნორვეგიის სამეფო; 32.პოლონეთის რესპუბლიკა; 33.პორტუგალიის რესპუბლიკა; 34.რუმინეთი; 35.საბერძნეთის რესპუბლიკა; 36.საფრანგეთის რესპუბლიკა; 37.სერბეთის რესპუბლიკა; 38.სლოვაკეთის რესპუბლიკა; 39.სლოვენიის რესპუბლიკა; 40. უკრაინა; 41. უნგრეთი; 42. ფინეთის რესპუბლიკა; 43.შვედეთის სამეფო; 44. შვეიცარიის კონფედერაცია; 45. ჩეხეთის რესპუბლიკა; 46. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია; 47. ხორვატიის რესპუბლიკა.

ახალი ავიარეისი აბუ-დაბის მიმართულებით

თბილისი-აბუ დაბის მიმართულებით ავიარეისებს არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაციონალური ავიახაზები, Etihad Airways-ი იწყებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ აეროპორტების გაერთიანებიდან აცნობეს, პირველი რეისი 2015 წლის 2 ოქტომბერს შესრულდება. არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაციონალურ ავიახაზებთან მოლაპარაკების წარმატებით დასრულება ავიამიმართულებების განვითარების ფორუმს Routes Silk Road 2014-ს უკავშირდება, რომელსაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხადაჭერით 6-8 ივლისს თბილისში უმასპინძლა.

მათივე ინფორმაციით, Routes Silk Road 2014-ის შედეგად მოხდა Etihad Airways-ის საქართველოს ბაზრით დაინტერესება, რის შემდეგაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ და TAV Georgia-მ ერთობლივი ძალისხმევით აწარმოეს აქტიური მოლაპარაკებები ავიაკომპანიას წარმომადგენლებთან. მიმდინარე პროცესში ასევე ჩართული იყო საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რამაც ხელი შეუწყო მოლაპარაკების საბოლოოდ წარმატებით დასრულებას.

ავიარეისები ყოველ ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას A320 ეარბასის ტიპის თვითმფრინავით შესრულდება, რომელსაც 16 ბიზნეს კლასისა და 120 ეკონომ კლასის ადგილი აქვს.

მესტიასა და ანაკლიაში წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე 19 მილიონი დაიხარჯება

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, სამინისტროში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და კონტრაქტორ კომპანიას (ერთობლივი საწარმო „Pfeiffer“ — გერმანია და „Protechno“ — იტალია) შორის, მესტიაში სასმელი წყლის გამწმენდი და ანაკლიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა არჩილ ცაბუტაშვილმა, Pfeiffer-ის რეგიონალურმა მენეჯერმა სლობოდან ფილიპოვიჩმა და Protechno-ს წარმომადგენელმა საქართველოში გიორგი ჟვანიამ.

ხელშეკრულების მნიშვნელობა შეაფასეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა და აზიის განვითარების ბანკის ადგილობრივი მისიის ხელმძღვანელმა ქეით ჯულიანმა.

პროექტის განხორციელების ვადა ორი წელია, ღირებულება კი — 19,284,052.58 აშშ დოლარი. პროექტირებასა და მშენებლობას აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

კონტრაქტორი კომპანია საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა, რომელიც აზიის განვითარების ბანკის პროცედურების შესაბამისად მიმდინარეობდა.

პროექტის დასრულების შემდეგ, როგორც ანაკლიაში, ისე მესტიაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ტურისტების რაოდენობა. მხარეში განხორციელებული ეს ინვესტიცია ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მიმზიდველი იქნება აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● 30 ვერცხლი, რამდენია ლარებში?

● ნამდვილი ევროპელები ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ იმ უბედურებებზე, რაც ხდება, იმაზე, თუ როგორც იქცევა ხელისუფლება, მარტო შეშფოთებას გამოვთქვამთ და „რეზოლუციებს“ ფეისბუქით ვაქვეყნებთ.

● ალიო, ოცნება! ნაციონალებს ვერ ერევით და ხალხს დაერიეთ? იმ ხალხს ვინც ხელისუფლებაში მოგიყვანათ? ძალიან ცუდად დაამთავრებთ! ძალიან!

● საქართველომ ბარაკები 50-60-იან წლებში მოიშორა, ზოგ ქვეყანას კი დღემდე შემორჩა პრეზიდენტების სახით.

● ნუთუ არავის აქვს, თუ ვალდებულება არა, უფლება და ინტერესი, შეისწავლოს, „ ვისგან და რა რაოდენობით ფინანსდება, და რა და ვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა, ზოგიერთი (ბევრი, სხვათა შორის) არასამთავრობო ორგანიზაცია?!

ხომ ცხადია, რომ ამ ასო-ების უმრავლესობა დაკავებულია ქვეყნისთვის მავნებლური, პროვოკაციულ-დივერსიული ქმედებებით, ან, მინიმუმ - უსარგებლო, უმაქნისი ჩხირკედელაობით?!

ალბათ დროდადრო გავიმეორებ ამ შეკითხვას, ვინძლო „შესაბამის“ ყურამდე მიაღწიოს.

● უკაცრაული პასუხია და „ბოზი“ — კომერციული სექსმუშაკი ყოფილა თურმე.

მაინც რას ნიშნავს ევროატლანტიკურობა.

კომერციულო სექსმუშაკო, საქმრო რად მოაკვლევინე?

● „აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, უკრაინა, როგორც ნატოს არაწევრი ქვეყანა, აშშ-ის მთავარი პარტნიორის განსაკუთრებულ სტატუსს არ მიიღებს, რადგან უკვე აქვს აშშ-სთან თანამშრომლობის მსგავსი სტატუსი.“

დაეტყო კიდევაც აშშ-სთან თანამშრომლობის განსაკუთრებულობა,— განსაკუთრებით ბოლო ხანებში.

● სკამზე დამდგარი „უფროსობის სადღეგრძელოს“ საქართველოში ძალიან დიდი ხნის ტრადიცია აქვს..

● ერთი რამ მაინტერესებს და ვერ ვიღებ პასუხს: როგორ შეიძლება ის ქვეყანა შენს სტრატეგიულ პარტნიორად ითვლებოდეს, რომლის ოფიციალური სტრუქტურები და, რაც მთავარია, სახელმწიფო დეპარტამენტი, დამნაშავე, კრიმინალი, მორფინისტი, შლეგი, ბიუჯეტის მფლანგველი, ვიღაც ვიგინდარა ექსის დამცველად გევლინებოდეს და კბილებით იცავდეს მის თავისუფლებას (ამას ხომ ვიღაც რიგითი კონგრესმენი არ აცხადებს).

ანუ ეს მხოლოდ შირმაა და ამას საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებენ. ჩვენ კი მასალა ვართ და გვიყენებენ როგორც უნდათ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

სტიქია აჭარას თავს არ ანებებს

აჭარის მთავრობა რეგიონში უხვი ნალექის მიერ მიყენებულ ზარალს ითვლის. როგორც აჭარის მთავრობის განცხადებაშია აღნიშნული, საცხოვრებელი სახლების პირველი სართულებიდან წყლის ამოტუმბვის სამუშაოები დასრულდა. მთავრობაში აცხადებენ, რომ ბათუმში ელექტროენერგია კვლავ გათიშული აქვს 5 000-მდე აბონენტს და წყალი არ მიეწოდება ძველი ქსელის ბონისა და გოროდოკის დასახლებების ნაწილს.

„ორდღიანი გადაუღებელი წვიმის შედეგად აჭარის სამ მუნიციპალიტეტს ბათუმს, ხელვაჩაურსა და ქობულეთს შეფერხებით მიეწოდებოდა სასმელი წყალი და ელექტროენერგია. არსებული მდგომარეობით, შეუფერხებლად მიეწოდება ელექტროენერგია ქობულეთის, ქედის, ხულოს, შუახევისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს. ვითარება დასტაბილურდა ბათუმში, სადაც ქუჩები და საცხოვრებელი სახლების სარდაფები იყო დატბორილი. ქუჩები მთლიანად დამშრალია.

მთავრობა რეგიონის პერიფერიებში განვითარებული მეწყრული პროცესებს აჯამებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ხელვაჩაურის რამდენიმე სოფელში 13 ოჯახი დააზარალა მეწყრულმა პროცესებმა. მთავრობის განცხადებით, დამეწყრილი ტერიტორიების გასაწმენდად მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა შესაბამისი ტექნიკა.

წვიმებმა გამოიწვია მეწყერული მოვლენები ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. ხელვაჩაურში განსაკუთრებით დაზარალდა სოფელ ჩელტისა და ზანაქიძეების მოსახლეობა. ჩამოწოლილმა მიწის მასამ ჩაიყოლა ადგილობრივთა საკარმიდამო ნაკვეთები და ეზოების საყრდენი კედლები. ასევე მეწყერსაშიში მდგომარეობა შეიქმნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფლებში ხალასა და ჩაქვის მე-7 რაიონებში, დაიმეწყრა შიდა სასოფლო გზები, თუმცა, უკვე ყველა გზა იყო გაწმენდილია. შესაბამისი სამსახურები მუშაობდნენ მთელი ღამისა და დღის განმავლობაში. ამ მომენტისთვის შიდა სასოფლო გზების გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, ასევე ხდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა“, — აღნიშნულია განცხადებაში.

მიწების გასხვისების წესი შეიცვალა

მთავრობამ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ახალი წესები დაამტკიცა. ცვლილებათა პაკეტის ნაწილის მიმართ არასამთავრობო ორგანიზაციებს შენიშვნები აქვს და მათ არაკონსტიტუციურს უწოდებს. ამ ცვლილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწებს საქართველოში ვეღარ შეისყიდის უცხოეთში დაფუძნებული კომპანია ან სხვა იურიდიული პირი.

როგორც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, **სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელ ფიზიკურ პირზე ან უცხოურ კომპანიაზე, თუნდაც ის საქართველოში იყოს დაფუძნებული, ვერ მოხდება საქართველოს საზღვრის მიმდებარე ხუთკილომეტრიან ზოლში და მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის ზონაში. სასაზღვრო ზოლსა და ამგვარ ზონებში ვერც ერთი ფიზიკური პირი ან უცხოური კომპანია სასოფლო-სამეურნეო მიწას ვერ შეისყიდის. სამაგიეროდ, უცხოელი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს სასოფლო მიწას, შეიძლება, გახდეს ამ მიწის მესაკუთრე.**

წულუკიანის თქმით, ეს ცვლილება ბევრ ჩვენ თანამემამულეს, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და დღეს უცხოელად ითვლება, საშუალებას მისცემს, წინაპრების მიერ მემკვიდრეობით დატოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწები საკუთრებაში მიიღონ.

შერეული ქორწინების შემთხვევაში კი, როდესაც საქართველოს მოქალაქე არის ერთი მეუღლე, ხოლო მეორე მეუღლე არის უცხოელი, სასოფლო-სამეურნეო მიწა შესაძლებელია იყოს მეუღლეთა საკუთრებაში. ხოლო განქორწინების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს უფლება ეძლევა, უპირატესი შესყიდვის წესით დაეუფლოს თავისი ყოფილი უცხოეული მეუღლის ქონებას.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი პაატა კოღუაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ქართული მიწის გასხვისების მიმართ თეა წულუკიანს ჯანსაღი დამოკიდებულება აქვს. უფრო მეტიც, მისი თქმით, მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ რესურსი, რომლის ფასიც თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალურია.

მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად კი მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები. აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც უცხოელებზე მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან შეუთავსებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი და არ შეიძლება, მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს.

ამის მაგალითად ექსპერტს გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება მოჰყავს, სადაც განმარტებულია, „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის“.

2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე საქართველოში უცხოელების მიერ შეიქმნა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც იყიდეს 271 ნაკვეთი. დღეის მგომარეობით (არა ზუსტი მონაცემებით), უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია 30000 ჰა-ზე მეტი სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

როგორც პაატა კოღუაშვილი აცხადებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოში ამ ტიპის მიწის უცხოელებზე გასხვისება ძირითადად შეზღუდულია, ან დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობით.

მაგალითად, ლატვიის მიწის პრივატიზების კანონმდებლობის შესაბამისად, ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს მიწა და ტყე არ შეუძლიათ შეიძინონ.

თურქეთის კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული თურქეთის მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2.5 ჰექტარს (გამონაკლის შემთხვევებში, რაოდენობის გაზრდა მაქსიმუმ 30 ჰექტრამდეა შესაძლებელი). მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე არ არსებობს შეზღუდვა.

უცხოელთა საკუთრებაში შეიძლება იყოს არგენტინის მთლიანი ტერიტორიის მაქსიმუმ 20%. არგენტინის პრეზიდენტი ქრისტინა ფერნანდეს დე კირჩნერი თავის კანონპროექტს მიწის უცხოელთა საკუთრებაში გადაცემის შემოფარგვლის აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებს: „არგენტინა არაა პირველი ქვეყანა, რომელიც მსგავს რეგულირებას აწესებს. ასეთივე რეგულირებები აქვთ ბრაზილიას, კანადას, აშშ-ს და საფრანგეთს. შეზღუდვა დაწესებული აქვთ ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებს“.

გერმანიის კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის საკუთრებაზე იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორც გერმანიის მოქალაქეებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისთვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა. ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იძენს მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის.

საინტერესოა რუმინეთის მაგალითი, სადაც მოქალაქეობის არმქონე პირებს მიწის შეძენა მხოლოდ ნაცვალგების პრინციპით შეუძლიათ. ეს ნიშნავს, რომ რუმინეთში უცხოელის მიერ მიწის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებას მისცემს.

რუსეთში დაახლოებით 400 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. აქედან 129 მილიონი კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაში. 2006 წლამდე რუსეთში არსებობდა აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. თუმცა, იმის გამო, რომ რუსეთში ძალიან დიდი რაოდენობის გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, 2006 წელს გაუქმდა მსგავსი აკრძალვა. გამონაკლისია სასაზღვრო ტერიტორიასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისება. ასეთი ტერიტორიების ზუსტი დასახელება რამდენიმე წელი უცნობი იყო, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის ბრძანებით განისაზღვრა ის ტერიტორიები, რომელიც ექცეოდა უცხოელებისთვის შესასყიდად აკრძალული ტერიტორიების ნუსხაში. საკმაოდ გრძელ სიაში აღმოჩნდა რუსეთის 380 რეგიონალური ქვედანაყოფი — შორეული აღმოსავლეთის და ციმბირის ტერიტორიული საზღვრები, ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო თუ არასასოფლო-სამეურნეო მიწები. უცხოელებს ეკრძალებათ უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და, რა თქმა უნდა, ქალაქი სოჭისა და აზოვის ზღვასთან მოსაზღვრე ტერიტორიების მიმდებარე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხდება ასევე, აკრძალვა კრასნოდარის და მთლიანი კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზეც.

უცხოელი ინვესტორებისთვის საინტერესოა უკრაინის ნაყოფიერი მიწები. უკრაინაში 32 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ზოგიერთი ნაწილი რადიაციულად დასხივებული იყო, ისინი მაინც ძალიან ნაყოფიერად ითვლება. ამიტომაც ბუნებრივია უცხოელთა ინტერესი ამ მიწების შეძენაზე. სწორედ ამან გამოიწვია უკრაინაში მიწის მორატორიუმის შემოღება, რომელიც 2012 წლის ბოლომდე კრძალავდა მიწის გაყიდვას.

ამდენად, პაატა კოღუაშვილის დასკვნით, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს გამოყენების აბსოლუტურ უფლებას და ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია მიიჩნევს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებაში გათვალისწინებულია ეროვნული ინტერესები და ის, თუ რას წარმოადგენს ქართველი კაცისთვის მიწა. განსაზღვრულია ყველა ნიუანსი, გამონაკლისი და მიდგომა, რომელიც მათ აძლევს საშუალებას საქართველოში შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწები. ეს ცვლილება არ დააზარალებს არც ქვეყნის ეკონომიკას და არც ინვესტიციების განხორციელებას შეუშლის ხელს.

„თუ მიწა სჭირდებათ, მათ შეუძლიათ, აიღონ იჯარით ან სხვა ფორმით, პრივატიზება არ არის ეკონომიკური გამოსავალი“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამინისტროებთან ერთად პროექტზე რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა. პროცესში მონაწილეობდნენ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები, აგრარული სექტორის ექსპერტები. პოზიციების შეჯერებით შეთანხმება მოხდა ცვლილებების იმ პროექტზე, რომელიც მთავრობის სხდომამ დაამტკიცა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სამინისტროებს, რომლებიც ცვლილებათა ამ პაკეტზე მუშაობდნენ, ერთმნიშვნელოვნად შეუძლიათ განაცხადონ, რომ ეს არის ყველაზე დაბალანსებული მოდელი, რომელიც ერთი მხრივ, იცავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს, როგორც მცირემიწიანი ქვეყნის, სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ამავე დროს, იცავს უცხოელი ინვესტორების უფლებებს.

კანონში ჩნდება დათქმა, რომ უცხოელ ფიზიკურ პირს ან უცხოურ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში (აქ იგულისხმებიან ის იურიდიული პირები, რომელთა 50%-ზე მეტს ფლობს უცხოელი) ექნებათ უფლება, შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწა არანაკლებ 5 ჰექტარი და მაქსიმუმ 100 ჰექტარი. აღსანიშნავია ისიც, რომ სერიოზული საინვესტიციო წინადადებების პირობებში საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს უფლებას, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ხელი შეუწყოს და დართოს ნება, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწებს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების დეტალური შესწავლის შემდეგ ფლობდნენ.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, უცხოელებზე მიწის მიყიდვა ევროპის ბევრ ქვეყანაში შეზღუდულია:

„ეს მოქმედებს ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში და ჩვენ არანაირად, არავინ გვავალდებულებს ვიყოთ ულტრალიბერალურები ამ მიმართულებით. ეკონომიკური ზრდა ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ გვაქვს გარკვეული თავისებურებები ჩვენს ქვეყანაში. საქართველო არ არის უხვმიწიანი ქვეყანა, ვცხოვრობთ რთულ რეგიონში და აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ გარკვეული რეგულაციები სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების კუთხით უნდა არსებობდეს“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მანანა ნოზაძე, ბექა დანელია

◎ ალიანჩალიანი

არჩილ კბილაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა

პროკურატურა უმეტესწილად საქმიანობს იმ ფორმატში, რომელიც მემკვიდრეობით იქნა მიღებული წინა ხელისუფლებისგან , — ამის შესახებ ყოფილმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა. კბილაშვილის განმარტებით, ის კარგად იცნობს იმ ხარვეზებს, რომელიც სისტემაშია და სწორედ მათ აღმოფხვრას ემსახურება მის მიერ დაარსებული ორგანიზაცია „საქართველოს ევროპული არჩევანის“ მიერ მომზადებული პირველი პროექტი.

— პროექტს აქვს ორი განშტოება — პროკურატურის რეფორმის ხელშეწყობა, მისი პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის ზრდა, მეორე — აღმკვეთი ღონისძიების სრულყოფა. იმედი გვაქვს, რომ იმ კონცეფციით, რომელზეც დავიწყეთ მუშაობა, წლის ბოლოსთვის მივიღებთ მკაფიო სურათს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, განვსაზღვროთ, როგორ უნდა იყოს მოწყობილი ეს ორგანიზაცია, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა, რომლის განმარტებითაც, იქედან გამომდინარე, რომ მისი ორგანიზაცია არასამთავრობო სექტორს წარმოადგენს, ხელისუფლებისთვის მის მიერ შექმნილ პროდუქტს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნება.

ინტერპრესი

◎ ᲠᲐ ᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲛᲐ „ᲞᲔᲞᲔᲚᲐᲛ“?

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ: ᲛᲘᲨᲐ ᲑᲠᲣᲙᲚᲘᲜᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐᲨᲘ, რომლის ავტორია აშშ-ის ქალაქ მინეაპოლისში მცხოვრები ცნობილი ქართველი ჟურნალისტი მელორ სტურუა, გადმოცემულია „ნიუ-იორკ თაიმსში“ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის შინაარსი კომენტარებითურთ.

„დევნილი“ მეშვიდე ნორთ-სთრითიდან“ — ასეთი სათაური აქვს ჯეისონ ჰოროვიცის რეპორტაჟს ნიუ-იორკის რაიონ ბრუკლინიდან, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის აშშ-ში ცხოვრების დეტალებია ასახული: „მასალა საკმაოდ საინტერესოა, ამიტომაც გადავწყვიტე, მკითხველისთვის შინაარსი მიმეწოდებინა, ჩემი დაკვირვება, გამეზიარებინა და კომენტარები გამეკეთებინა“, — წერს მელორ სტურუა გამოცემა „მოსკოვსკიი კომსომოლეცში“.

„დევნილი“ მიხეილ (მიშა) სააკაშვილი დღეს ნიუ-იორკში, ბრუკლინში, ნორთ-სთრითზე ცხოვრობს. საქართველოდან გაქცეულმა ღუზა შეერთებულ შტატებში ჩაუშვა — უილიამსბურგზე მდებარე ერთ-ერთ ცათამბჯენში არსებულ ბიძამისის ბინაში. ამ რაიონში მდიდრები და ელიტა ცხოვრობენ, რომლებმაც თავიანთი სიმდიდრე „მისტიკური სახით“ დააგროვეს. ისევე, როგორც რუსმა ოლიგარქებმა. ბრუკლინი — ეს სააკაშვილისთავის ელბაა, მაგრამ არა წმინდა ელენეს კუნძული... იგი აქედან თბილისზე ლაშქრობას გეგმავს, რომელსაც ხშირად „აღმოსავლურ პარიზსაც“ უწოდებენ“, — აღნიშნავს ავტორი.

მიშას ყოველდღიური ცხოვრება ასეთია: მეგობრებთან კაფეში შეხვედრები, შემდეგ ველოსიპედით სეირნობა უილიამსბერგის ხიდზე, საღამოობით კი ისევ მეგობრებთან — რესტორან „უაიტ“-ში. ნათქვამია, ვისაც რა დარდი აქვს იმაზე ლაპარაკობს ან ყვირისო. მიშაც ლაპარაკობს (ყვირის) საქართველოზე, სადაც „შვილი და გვირგვინი დატოვა“. ამ დღეებში იგი საქართველოსა და უკრაინაზე დარდობს — მისი აზრით, უკრაინის 2014 წლის მოვლენები საქართველოს 2008 წლის მოვლენებით უნდა აიხსნას. მოკლედ, ერთნაირი სცენარებიაო.

წონაში მომატების მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი ძველებურად ცქვიტია. იგი ბომარშეს ფიგაროსავითაა — ხან აქ, ხან იქ... ამერიკის სპეცსამსახურმა მიშას მეტსახელად Energiser Bunny შეარქვა, რომლის მიხედვით Energiser-ის ბატარეებით დამუხტული კურდღლის ბაჭია Bunny ყველგან შეუსვენებლივ დახტის... ექს-პრეზიდენტი მანჰეტენზე მდებარე ქართულ რესტორნებსაც სტუმრობს, მაგალითად, „ოდასახლს“ და „პეპელას“. მე პირადად არც ერთში ნამყოფი არ ვარ და არ ვიცი, მუსიკას უკრავენ თუ არა, და თუ უკრავენ, მღერიან თუ არა „პეპელას“ — „ჩემო პეპელა, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო“. სიმღერის შინაარსის მიხედვით, გაუგებარია, რა უნდა ქნას პეპელამ. მიხეილ სააკაშვილი, თავისი სიმაღლის მიუხედავად, მე სწორედ იმ პატარა პეპელას მაგონებს ქართული ხალხური სიმღერიდან. იგი მშობლიური თბილისიდან გაფრინდა, მაგრამ უკან დაბრუნებაზე ოცნებობს, ალბათ, ტრიუმფატორის შარავანდედით. იგი ძალიან დიდხანს ფართხალებდა ამერიკული დემოკრატიის მინის ლამპადებში და ფრთები დაიჭრა. რაღაც მომენტში „მიშა-პეპელას“ საკუთარი თავი „მიშა-შევარდენად“ მოეჩვენა და უგუნურად ეკვეთა რუსულ დათვს, რისთვისაც პასუხი მიიღო. და აი, ახლა, მიშა ბრუკლინში იმყოფება, თავისი ცხოვრების რთულ გზაჯვარედინზე, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოსთვისაც ისტორიული გახდა. იგი მსოფლიოს უილიამსბურგის ცათამბჯენიდან უყურებს და თითქოს გვირილაზე მკითხაობს: „გავფრინდე-მოვფრინდე“ და ბოლოს საკუთარ თავს ეკითხება: „რა ქნას საწყალმა პეპელამ?“.

დამოუკიდებელ საქართველოს სამი პრეზიდენტი ჰყავდა — ზვიად გამსახურდია, ედურად შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი. დღეს ნაჩქარევად დაწერილ ისტორიაში სამივეს „ცუდ“ პრეზიდენტებად მოიხსენიებენ... მართლაც, მათ მიერ ჩადენილი ცოდვები იმდენია, რომ ვერ დათვლი. მაგრამ აქ წერტილს ვერ დავსვამთ, რადგან ისტორია გრძელდება... ისტორია ხომ ფრენსის ფუკუიამას ტრაქტატი არ არის. ვერავინ და ვერასდროს ვერ ამოშლის საქართველოს ისტორიიდან იმ ფაქტს, რომ სწორედ რეაქციულმა რომანტიკოსმა ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ვერავინ და ვერასდროს ვერ ამოშლის საქართველოს ისტორიიდან იმ ფაქტს, რომ სწორედ ედუარდ შევარდნაძემ — პარტმუშაკისა და „გარდაქმნის ოსტატის“ საკვირველმა ჰიბრიდმა — გადაარჩინა ქვეყანა შიმშილსა და დაღუპვას... ვერავინ და ვერასდროს ვერ ამოშლის საქართველოს ისტორიიდან იმ ფაქტს, რომ სწორედ მიხეილ სააკაშვილმა გაჭრა ქვეყნისთვის „ევროპულ-ამერიკული ფანჯარა“. ისტორია ვერ ითმენს იმას, რომ ერთს ლაპარაკობენ და მეორეს წერენ. ისტორია ასეთ „რედაქტორებს“ ყოველთვის სჯის და არასოდეს არ პატიობს.

არც ერთ ზემოთ ხსენებულ პიროვნებას საქართველოსთვის ცუდი არ სურდა. თითოეულ მათგანს სამშობლო თავისებურად უყვარდა. მე არავის არ ვამართლებ, ისინი ჩადენილ საქმეებში დამნაშავეები არიან... მაგრამ სანამ ხელში ქვებს ავიღებდეთ მათ ჩასაქოლად, გავიხსენოთ რა წერია ბიბლიაში“, — ასე ამთავრებს თავის სტატიას მელორ სტურუა.



◎ ᲨᲐᲠᲚᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲝᲠᲑᲡᲘ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ

„ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲗᲐᲘᲛᲡ“-მა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის დადებითი, მიმზიდველი პროფილი აჩვენა — ისე როგორც გერი შტეინგარდტის რომანში ვკითხულობთ. ჩვენ დავინახეთ, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც უკვე ხელისუფლებისა და პასუხისმგებლობის ბორკილებისგანაა გათავისუფლებული, თავის დღეებს უილიამსბურგში ატარებს, ველოსიპედით აქეთ-იქით დასეირნობს, ხშირად სტუმრობს ჰიპსტერულ (ჯაზის მოყვარულთა ახალგაზრდულ) კაფეებს და ბარებს, რომლებიც, როგორც წესი, სახელმწიფოს ყოფილ მეთაურებთან არ ასოცირდება (ისინი ამგვარ ადგილებს ჩვეულებრივ გვერდს უვლიან ხოლმე), — აღნიშნულია ფორბსში გამოქვეყნებულ სტატიაში.

სტატიის ავტორი მარკ ადომანისი აღნიშნავს, რომ ექს-პრეზიდენტის პროფილით დღევანდელი უილიამსბურგის სიმდიდრისა და მოცალეობის საკმაოდ უცნაური სურათი დავინახეთ, თუმცა, მასში უფრო მეტი ჩანს: სტატიის ავტორმა ჯეისონ ჰოროვიცმა მიშა აიძულა თავისი პოლიტიკური შეხედულებების რეკორდი დაემყარებინა და გულახდილად ელაპარაკა: **„მე მანჰეტენის ამ ადგილებს ადრეც ვუყურებდი ხოლმე, ეს ძალიან უდაბური ადგილები იყო, სადაც მაფიის მიერ დაქირავებული მკვლელები გვამებს ყრიდნენ“, — ამბობს სააკაშვილი და 1990-იან წლებს იხსენებს, როცა იგი კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის სტუდენტი იყო. „დღეს კი აქ ჯაზურ ატმოსფეროს ვხედავ, აქაურობა ენერგიითა და ახალი მშენებლობებითაა სავსე... უილიამსბურგი — ეს დემოკრატიული გარდაქმნების ნაწილია“.**

(ასეთი მსჯელობა) კარიკატურას ჰგავს. საერთოდ, მიხეილ სააკაშვილის ბევრმა კრიტიკოსმა დიდი ხანია, შენიშნა, რომ იგი სიტყვა „დემოკრატიას“ პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელ ტერმინად კი არ იყენებს, რომელიც საზოგადოების თავისუფალ არჩევნებს უზრუნველყოფს, არამედ უნივერსალურ ტერმინად, რომელიც დაახლოებით ასე გამოიხატება: „რაც მე მომწონს“ (დემოკრატია სწორედ ის არის). მიიჩნია რა დემოკრატია ქალაქის რაიონის კეთილმოწყობის აღმნიშვნელ ქმედებად, მიხეილ სააკაშვილმა ყველანაირი ეჭვი გაფანტა — მას უბრალოდ არ ესმის, რას ნიშნავს დემოკრატია ფაქტიურად.

უილიამსბურგში მომხდარ გარდაქმნებს („ჯაზური ატმოსფერო, ენერგია და მშენებლობები“) არაფერი აქვთ საერთო „დემოკრატიულ გარდაქმნებთან“. ეს რაიონი თავიდანვე იყო დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ნაწილი, მაშინაც კი, როცა ღარიბი იყო და ის დღესაც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ნაწილად რჩება, როცა მდიდარია. გასული 15 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, შესაძლოა, მართლაც ქებას იმსახურებდეს, მაგრამ უშედეგო იქნება, რომ ამ ცვლილებების კავშირი ვეძებოთ ნიუ-იორკის რომელიმე საარჩევნო კანონის მოდიფიკაციასთან ან აშშ-ის პოლიტიკური სისტემის რომელიღაც რეფორმასთან.

უილიამსბურგის გარდაქმნები დემოგრაფიული და საბაზრო პროცესების რთული ურთიერთქმედების შედეგია და არა „ხალხის ხელისუფლების“ ან რომელიღაც დიდი იდეოლოგიური ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგი.

მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიის ერთ-ერთი როკ-ვარსკვლავია, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს ჯონ მაკკეინთან და ვიქტორია ნულანდთან, ანუ იმ წრის ადამიანებთან, რომელსაც მიაჩნიათ, რომ „დემოკრატია ყველაფერს წყვეტს“. ისინი ხაზს უსვამენ დემოკრატიის მნიშვნელობას და მიიჩნევენ, რომ ამერიკის მოვალეობაა დემოკრატია მთელ მსოფლიოში გაავრცელოს. სინამდვილეში კი გამოდის, რომ მიხეილ სააკაშვილს არ ესმის იმ კონცეფციის არსი, რომლის მიმართ ერთგულებას გამოხატავს.

დემოკრატია კარგი გადაწყვეტილებაა მაშინ, როცა პრობლემა პოლიტიკური ხელისუფლების გადაჭარბებულ კონცენტრაციას ეხება, მაგრამ დემოკრატიას როგორც ასეთს, ძალიან მცირე გავლენა აქვს უძრავი ქონების ბაზარზე და უმაღლესი დონის ყავის მაღაზიებზე. დემოკრატიის განვითარების მხარდამჭერებმა, ალბათ, მიხეილ სააკაშვილისაგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ, რადგან მან მშვენიერი მაგალითი მოგვცა იმისა, როგორ არ უნდა ილაპარაკო ასეთ საკითხზე. მარტივად რომ ვთქვათ, თუ თქვენ სააკაშვილის მსგავსად მიიჩნევთ, რომ თქვენი საყვარელი რესტორანი „დემოკრატიულია“, მაშინ უნდა გადაშალოთ ლექსიკონი და წაიკითხოთ, რას ნიშნავს სინამდვილეში ტერმინი „დემოკრატია“.

Forbes

ᲯᲝ-ᲔᲝᲬ-ᲔᲜᲝ

◎ „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲘᲜᲯᲕᲘᲐ“

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲔᲛᲔᲠᲘᲥᲔᲜ ᲥᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲗᲘᲕ“ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲓᲔᲜᲘᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲑᲠᲣᲙᲚᲘᲜᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲝᲕᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ:

„მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ მისი როგორც „უპასუხისმგებლო ლიდერის“ რეპუტაცია უნდა გადაფასდეს— ლიდერისა, რომლის მიერ განხორციელებული „ვარდების რევოლუცია“ წლების შემდეგ დაიჩრდილა პოლიტიკური ოპონენტების დევნით, კანონის უზენაესობის დარღვევითა და პუტინის მიერ მოწყობილ პროვოკაციაზე წამოგებით — ომით, რომელმაც მრავალი ქართველის სიკვდილი და გაღატაკება გამოიწვია. „ყველაფერი გადასინჯვას საჭიროებს“, — თქვა მან („ნიუ-იორკ თაიმსი“).

მართალია, (რუსეთ-საქართველოს) 2008 წლის ომსა და უკრაინაში დღეს მიმდინარე კონფლიქტს შორის გარკვეული მსგავსება არის, მაგრამ მათ შორის განსხვავება უფრო დიდია: მთავარი ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილი პასუხისმგებელია იმდროინდელი კონფლიქტის ესკალაციაში. რასაკვირველია, რუსეთსაც ეკისრება თავისი წილი პასუხისმგებლობა სააკაშვილის პროვოცირებაში, მაგრამ იგი ბრიყვულად წამოეგო სატყუარაზე. მან შეცდომით ივარაუდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები დაეხმარებოდნენ, თუ იგი უბედურებაში აღმოჩნდებოდა. მიხეილ სააკაშვილი ამ ნაბიჯის გადადგმაზე წააქეზა როგორც ამერიკის (გაუფრთხილებელმა) რიტორიკამ და (არასწორმა) მხარდაჭერამ ნატოში გაწევრების თაობაზე, ასევე საერთოდ დასავლეთის (არაადეკვატურმა) ენთუზიაზმმა „ვარდების რევოლუციის“ მიმართ. საბოლოო ჯამში, ცხინვალზე შეტევის გადაწყვეტილებასა და რუსეთთან ომის გამოწვევაში, რის შედეგადაც საქართველომ დიდი ზარალი განიცადა, სააკაშვილს სოლიდური პასუხისმგებლობა ეკისრება. მან ასევე შეუბრალებლად დაარბია ოპოზიციური საპროტესტო მიტინგი 2007 წელს, რომლის შედეგად ასეულობით ადამიანი დაშავდა. აშკარად სინამდვილეს შეესაბამება აგრეთვე ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ აღარ მისცეს ხმა მის პარტიას 2012 წელს. ეს ფაქტები ადასტურებს მიხეილ სააკაშვილის უგუნურ მოქმედებას და ხელისუფლებით ბოროტად სარგებლობას. ის, თუ რას ფიქრობს ექს-პრეზიდენტი სხვა ქვეყნებში მომხდარ მოვლენებზე, მათ შორის, უკრაინის კონფლიქტზე, მცირედითაც კი არ ამართლებს მის მოქმედებას.

ᲯᲝ-ᲔᲝᲬ-ᲔᲜᲝ

◎ მაგთი ქართულ საქმეს აკეთებს!

დღე, რომელიც ქართული მუსიკის ისტორიის ოქროს ფონდში დარჩება

კინომუსიკა საქართველოსთვის ყოველთვის ძალიან ძვირფასი და მშობლიური ჟანრი იყო. მსოფლიო კინომუსიკის შედევრების მსმენელი ქართველი საზოგადოება, მუდამ ელოდა, თუ როდის იქნებოდა ქართული კინომუსიკის შედევრების წარდგენა ფართო მსმენელის წინაშე.

და აი, კომპანია „მაგთიკომმა“ 21 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კიდევ ერთი დიდი საჩუქარი მიუძღვნა საქართველოს.

ნიკა რაჭველის და საქართველოს სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, კომპანია „მაგთიკომის“ 17 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიმართა ბრწყინვალე კონცერტი, რომელზეც შესრულდა ბიძინა კვერნაძის, რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძის, გია ყანჩელის და სხვა ქართველ კომპოზიტორთა ის ნაწარმოებები, რომლებიც ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასი და მშობლიურია. ეს ნაწარმოებები, მიუხედავად მსმენელის შეჭირვებისა, მიუხედავად პოლიტიკური პერიპეტიებისა, მუდამ ისმოდა ჩვენი ფანჯრებიდან და მათ ყოველთვის ექნებათ ადგილი ჩვენს გულებში.

კომპანია „მაგთიკომის“ მიერ ორგანიზებული კონცერტით კიდევ ერთი საჩუქარი მიიღო ქართველმა ხალხმა, კიდევ ერთი დიდი საჩუქარი მიეძღვნა საქართველოს.

კონცერტმა, რომელიც კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თათული ღვინიაშვილის ხელშეწყობით გაიმართა, მსმენელთა და მაყურებელთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

დღეისათვის მაგთიკომი 5 ბრენდს აერთიანებს — მაგთის, ბალს, ბანს, მაგთიფიქსს და მაგთისატს. **ის ერთადერთი სატელეკომუნიკაციო კომპანიაა საქართველოში, რომელიც 3 მილიონზე მეტ მომხმარებელს მობილურ და ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას, ინტერნეტსა და თანამგზავრულ სატელევიზიო მაუწყებლობას სთავაზობს.**

ამჟამად კომპანიაში 1 063 ადამიანია დასაქმებული, რასაც მაგთიკომის სატელიტ სამშენებლო, იურიდიულ და სადისტრიბუციო ფირმებში მომუშავე ასეულობით ადამიანი ემატება.

მაგთიკომს ქართულ ეკონომიკაში უპრეცედენტოდ დიდი წვლილი შეაქვს:

2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით, მაგთიკომმა ქართულ ეკონომიკაში მილიარდ ორას სამოცი მილიონი ლარი შეიტანა. ამას ემატება ის მრავალმილიონიანი ქველმოქმედება, რაც ქართულ კულტურას, განათლებას, სპორტსა და ჯანდაცვას ხმარდება.

კომპოზიტორმა და დირიჟორმა ნიკა რაჭველმა, მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი ჩააქსოვა, რათა დამსწრე საზოგადოებას და იმ ადამიანებს, რომლებიც ელექტრონული მედიის (მათ შორის, „მაგთისატის“) საშუალებით უსმენდნენ მუსიკის ამ ზეიმს, დარჩენოდათ ის განწყობა, რომ საქართველოში ქართული საქმე ისევ კეთდება.

ბრწყინვალე საჩუქარი, რომელიც კომპანია მაგთიკომმა არა მარტო თავის უამრავ მომხმარებელს, არამედ მთელ საქართველოს მიუძღვნა, ერთჯერადი და კამპანიური ხასიათის არ არის.

ასეთი დღეები კვლავაც იქნება....

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული კონცერტი, რომელიც კომპანია „მაგთიკომის“ 17 წლის იუბილეს მიეძღვნა, ნამდვილად დარჩება ქართული მუსიკის ისტორიის ოქროს ფონდში.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ კომპანია „მაგთიკომს“ მოღვაწეობის 17 წლის იუბილეს, ვუსურვებთ იმ ძნელ, დატვირთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზის ღირსეულად გავლას და მადლობას ვუხდით ქართული საქმის კეთებისთვის.

გია გაბრიჭიძე

◎ ყოფილთა აზრი

ბილ კლინტონი: გამოიწვია თუ არა ნატოს გაფართოებამ რუსეთის თავდასხმა საქართველოსა და უკრაინაზე?

რუსეთის ტელეკომპანია „პერვიი კანალის“ საინფორმაციო-ანალიტიკურ პროგრამა „ვრემიაში“ (21 სექტემბერი, 22.00) გადაიცა ვრცელი სიუჟეტი რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. მასში აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი და დასავლეთი შეთანხმდნენ, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა:

„ევროპამ უნდა გაიხსენოს ის დაპირება, რომელიც მან მოსკოვს მისცა: ნატო ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებს ახლოს არ გაეკარებოდა, მაგრამ სულ მალე ისინი ყველა ჩრდილოატლანტიკური ალიანსში მიიღეს. ახლა ანდრეს ფოგ რასმუსენი აცხადებს, რომ დროა, ნატოში საქართველო და უკრაინა მივიღოთო... ბოლოს და ბოლოს, ევროპამ უნდა გაიგოს, რომ რუსეთს ამდენი მოთმენა არ შეეძლო და ის რეაგირებას მოახდენდა“, — ამბობს ევროპარლამენტის წევრი ავსტრიიდან ევალდ შტადლერი.

გუშინვე, ამ საკითხზე აშშ-ის ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის ჟურნალისტი ფარრიდ ზაკარია ამერიკის 42-ე პრეზიდენტს ბილ კლინტონს ესაუბრა. მან უარყო, რომ დასავლეთმა ნატოს გაფართოებით რუსეთის საქართველოსა და უკრაინაში შეჭრა გამოიწვია: **„იცით, იმის თქმა, რომ „აი, მე შენ საქართველოში შეჭრა მაიძულე, ან უკრაინაში, იმიტომ რომ ეს ორი ქვეყანა, რომელიც მე მესაზღვრება, ნატოს წევრები არ უნდა იყვნენ“... მოდით რა, სერიოზულად ვილაპარაკოთ! ამის დაჯერება ხომ შეუძლებელია... მე არასდროს არ მითქვამს რუსებისთვის, რომ ნატო არ გაფართოვდებამეთქი. მე ჩემს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნატოს გაფართოებას მხარს ვუჭერდი“,** — აღნიშნა ბილ კლინტონმა საუბრის დროს. მან დაადასტურა, რომ ეს საკითხი რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტთან ბორის ელცინთანაც განიხილა. „მე მას ასე ვუთხარი: ვიცი, მჯერა, რომ თქვენ პირადად აღმოსავლეთ ევროპას თავს არ დაესხმებით, მაგრამ თქვენ ხომ უკვდავი არ ხართ?“. ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ-სათვის ბორის ელცინი რუსეთის საუკეთესო პრეზიდენტი იყო.

ინტერვიუში ამერიკის ყოფილმა მეთაურმა გაიხსენა, რომ, როცა უკრაინამ უარი თქვა თავის ბირთვულ არსენალზე, მაშინ მისი უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტად რუსეთიც გამოვიდა, ხელიც მოეწერა შესაბამის დოკუმენტს. „დღეს კი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მის შესრულებაზე უარს აცხადებს და ამბობს, რომ ეს დოკუმენტი უბრალო შეთანხმებაა და არა ხელშეკრულებაო“, — აღნიშნა ბილ კლინტონმა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ეს საკმარისი არ არის!

ძველი პირადობის მოწმობა 1300 000-ზე მეტმა მოქალაქემ შეცვალა

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, აქცია 20 აგვისტოს დაიწყო და 20 სექტემბრამდე გაგრძელდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სტატისტიკის თანახმად, ერთი თვის განმავლობაში მიმდინარე აქციის ფარგლებში, პირადობის ელექტრონული მოწმობა პირველად 124 437 პირმა მიიღო, ამათგან სრულწლოვანი - 113 827 მოქალაქე იყო.

აქციის პირობების თანახმად, პირადობის ახალი მოწმობის მიღების მსურველები პირადობის დამადასტურებელ ახალ დოკუმენტს 15 ლარად, სტანდარტულად 10 დღის ვადაში იღებდნენ და ამავდროულად თავისუფლდებოდნენ ფოტოსურათის გადაღების 3 ლარის გადასახადისგანაც.

აქციით სარგებლობის საშუალება ნებიემიერი ასაკობრივი კატეგორიის, როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მოქალაქეებს ჰქონდათ. აქციაში ჩართვა შეეძლოთ იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც მისამართის გარეშე იყვნენ რეგისტრირებულნი.

დღეის მონაცემებით, ელექტრონული პირადობის მოწმობას უკვე 1 300 000—ზე მეტი ადამიანი ფლობს.

◎ ალიანჩალიანი

დვანში რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გაიხსნა

ბაღის გახსნის ცერემონიას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვი, საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორი ნილ სკოტი, საქართველოში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი სიმონე ვოლკენი, ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი დაესწრნენ.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, ევროკავშირის დაფინანსებით, შიდა ქართლის გამყოფი ხაზის ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ზამთრისთვის სამზადისისთვის საჭირო ღონისძიებები განახორციელა. მათ შორის იყო დვანის საბავშვო ბაღის აღდგენა. წყლის ჭების რეზერვუარებისა და სასმელი წყლების მიწოდების სისტემის დამონტაჟება კასპის მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელში.

როგორც ბაღის გახსნის ცერემონიალზე სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, ეს არის პასუხი მავთულხლართებზე.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 57 სამხედრო შეემატა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს , ფიცის დადების ცერემონიალი ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გაიმართა. წვევამდელებმა საწყისი საბრძოლო მომზადება სამი კვირის განმავლობაში „კრწანისში“ გაიარეს. კურსის დასრულების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეები ეროვნული სასწავლო ცენტრის დაცვის ასეულში ჩაირიცხებიან და ბაზის უსაფრთხოების ფუნქციებს შეასრულებენ.

გუშინ, ფიცის დადების ცერემონიალს სამხედრო მოსამსახურეების მშობლები და ნათესავები დაესწრნენ. ღონისძიების დასასრულს გამოფენა მოეწყო, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა სასწავლო ცენტრის სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს.

მურმანის სამოურავო, ანუ ტრიუმვირატი ვერ



მურმან დუმბაძე:
მე ვარ და ჩემი ნაბადი...

საკმაოდ დიდი ხანია, შემაშფოთებელი ცნობები მოდის აჭარიდან. ცენტრალური პრესა აჭრელებულია აჭარის მთავრობისა და პარლამენტის მაღალჩინოსნების საფუძვლიანი კომპრომატებით. სამწუხაროა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ვერ ან არ რეაგირებს პრესის მწვავე სიგნალებზე. პრობლემის განსახილველად ჩვენი სპერციალური კორესპონდენტი გურამ გოგიაშვილი ბათუმში დაუკავშირდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო და არაერთი პრესტიჟული სახელობითი პრემიის ლაურეატს, 2011-2012 წლებში აჭარაში ქართული ოცნების მთავარ იდეოლოგს, ჩვენი გაზეთის ნაცად ავტორსა და რესპონდენტს შოთა ზოიძეს. გთავაზობთ მათ საუბარს:

გ. გ: — უპირველესად, გილოცავთ ქართული ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრით“ დაჯილდოებას.

შ.ზ. — მადლობა! სიმბოლურია, რომ წმინდა ნინოს ჯვარი აჭარაში ჩამოვიდა. საქართველოს ქრისტიანული ნათელი აჭარიდან მოეფინა. მიხარია, რომ ჩემი მცირე წვლილიც არის ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. სამწუხაროა, რომ ჩვენმა ტელეარხებმა არ გააშუქეს ფესტივალის მსვლელობა და შედეგები. სამაგიეროდ პიტნასავით ცხვირში გვტენიან პორნოგრაფიული წიგნების წარდგინებებსა და ყოველგვარ უხამსობას.

გ. გ: — ბატონო შოთა, ამ ინფორმაციის შემდეგ, ბევრ საჭირბოროტო საკითხზე უნდა ვისაუბროთ. თქვენ, არა მარტო აჭარაში, სრულიად საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავგანწირული ოპონენტი იყავით სააკაშვილის გახრწნილი რეჟიმისა. გადაიტანეთ ხანგრძლივი უმუშევრობა, არაერთი შეურაცხყოფა, შანტაჟი და მუქარა, ჩვენს გაზეთში დასტამბული ესეებისა და გულახდილი ინტერვიუების გამო. მაინც არ გატყდით და მტკიცედ იდექით ეროვნული ცნობიერების საგუშაგოზე. ბატონი ბიძინას გამოჩენას კი „ქართულ პოლიტიკაში მიწისძვრა“ უწოდეთ და მართალიც იყავით. 2012 წლის არჩევნების შემდეგ თქვენი ხმა მინელდა, ცხადია, პუბლიცისტიკასა და არა — პოეზიაში. ბათუმის ცხოვრებაზე შექმნილმა თქვენმა პოემამ („თეთრი ქალაქი“) საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

შ.ზ: — არჩევნების შემდეგ აჭარაში შექმნილი სიტუაციის გამო ჩემში გულგატეხილობამ დაისადგურა. ვხედავდი, რომ აჭარის ხელისუფლება არ არის ის, რისთვისაც ვიბრძოდით. ბატონი არჩილ ხაბაძე ჩვენ მიერ გაშლილ სუფრასთან დაბრძანდა და ლევან ვარშალომიძის გზა განაგრძო. ის ხალხი აღმოჩნდა პატივში, ვინც ჩვენ თავდაუზოგავად გვებრძოდა. აჭარის მთავრობის ხუთი წევრიდან ოთხს „ქართული ოცნებისთვის“ ხმა არ მიუცია. მე ეს თავის დროზე ვუთხარი ბატონ არჩილს, პასუხად დუმილი მივიღე. ისიც გარკვევით ავუხსენი, რომ მურმან დუმბაძე გაურიგდა აჭარის ძველ ხელისუფლებას და ხულოს, შუახევისა და ქედის მანდატები დაგვაკარგინა. ამ ინფორმაციის შემდეგაც ერთი ძარღვიც არ შესტოკებია.

გ. გ: — ბატონი მურმანის გარიცხვას როგორ შეხვდა აჭარა?

შ.ზ: — ეს არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. გამოწვევის პროცედურა მარტივი რომ იყოს, ახლა დეპუტატი აღარ იქნებოდა. იგი ბატონი ბიძინას მატარებელს აეკიდა და გადეპუტატდა. ახლა გაიძახის, რომ „ქართული ოცნების“ ვალი არ მაქვსო.

გ. გ: - როგორ ფიქრობთ, ახლა რომ არჩევნები იყოს, მურმანი ბათუმში გაიმარჯვებს?

შ.ზ: — გაიმარჯვებს კი არა, ხმების 3 პროცენტსაც ვერ აიღებს. არა მარტო ბათუმში, მის რაიონშიც კი.

გ. გ: — მაშ, როგორ მოექცა იგი „ქართული ოცნების“ სათავეში? კარგად მახსოვს, 1997 წელს დატოვა რესპუბლიკური პარტია. ცხადია, ასლან აბაშიძის გულის მოსაგებად და გაუმართლა კიდეც. ასლანის მთავრობის თავმჯდომარის, გ.ვარშალომიძისა და მისი ახლობლების ბიზნესპარტნიორი გახდა. როცა ასლანის რეჟიმი დასრულდა, ისევ დაუბრუნდა რესპუბლიკურ პარტიას, საიდანაც 2012 წელს გარიცხეს. გამოდის, რომ ეს პარტია საქულას დუქანია?

შ.ზ: — ნამდვილად არ ვიცი ვისი დუქანია. ბატონი მურმანის აღზევებაში პასუხისმგებლობა მეც მეკისრება. თავის დროზე ვერ გამოვიჩინე პრინციპულობა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ასეთ ავანტიურაზე თუ წავიდოდა. თუ არ ვცდები, ბატონ ბიძინასთან მისი შუამავალი სოზარ სუბარი იყო. მაშინ გია ემირიძის კანდიდატურაც განიხილებოდა. ცხადია, აჭარაც მოიგებდა და „ქართული ოცნებაც“. რესპუბლიკური პარტია კოალიციის წევრია და მათი გარიცხული სუბიექტი აჭარაში განუსაზღვრელ უფლებებს იგდებს ხელში. სრული ნონსენსია. თუ მართლა გარიცხეს და ეს ყველაფერი სპექტაკლი არ იყო, მაშინ რატომ დათანხმდა ამას ბატონი დავით უსუფაშვილი?! მურმანის პოლიტიკოსობა მხოლოდ ავანტიურაში გამოიხატება. მას საქმის კეთება არ შეუძლია.

გ. გ: — იმასაც ამბობენ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მუნდირს იკერავდა და არ გამოუვიდაო?

შ.ზ: — ეს მართალია, მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან მარხია. მურმანი 2012 წლის საარჩევნო კომპანიის დროს თანამშრომლობდა ვარშალომიძეებთან. მათი კარნახით გამსვლელ სიაშიც კი შეიყვანა ერთი სრულიად თამაშგარე პიროვნება. სია გასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ მის შინაურებში განიხილებოდა. არჩევნების შემდეგ ნიღაბი მოიხსნა და ღიად უჭერდა მხარს ნაცმოძრაობას. ხულოში საჯაროდ განაცხადა, რა კარგი ხალხი ყოფილან და არ მცოდნიაო. ხალხმა იგი ტრიბუნიდან ჩამოაგდო. იყო სხვა გართულებებიც.

გ. გ: — ბატონო შოთა, უნდა გკითხოთ, 2012 წელს მაჟორიტარი კანდიდატი იყავით ქართული ოცნებიდან?

შ.ზ: — როგორც ზემოთ გითხარით, ბატონმა მურმანმა ხულოს, ქედისა და შუახევის მანდატები აჩუქა ნაცმოძრაობას. ამაში დავით საგანელიძეც წაეხმარა. არ ვიცი რის საფასურად, ცენტრალური საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა დ. საგანელიძემ არ უზრუნველყო ცესკოდან პეიჯების (საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა საშვი) გამოგზავნა. ერთი კვირით ადრე ვურეკავდი მურმანს, რომ პეიჯები იგვიანებს-მეთქი. მეუბნებოდა გზაშია, მალე მივიღებთო. ფაქტობრივად, პეიჯები ბათუმში არჩევნების დასრულების შემდეგ ჩამოიტანეს. ამ მიზეზით, ჩემი 400 დამკვირვებელი არ დაუშვეს საარჩევნო უბნებზე. ამის გამო ვერც ვიდეოგადაღება შევძელით. 20 საათზე ეგზიტპოლებით სამივე რაიონში ვიმარჯვებდით, მთავარი გაყალბება ხმების დათვლის დროს მოხდა. ასე იყო ქედისა და ხულოს რაიონებშიც. გასაგებია, რომ შუახევის რაიონში არც ქართველი და არც უცხოელი დამკვირვებელი არ შემოსულა.

გ. გ: — გამოდის, რომ ბატონი მურმანი გაურიგდა ნაცმოძრაობას?

შ.ზ: — ასე იყო. არც ნაცმოძრაობას და არც მურმანს არ სჯეროდა „ქართული ოცნების“ გამარჯვება. გარიგებით სამი რაიონი (ხულო, შუახევი, ქედა) ნაცმოძრაობას ერგო, ხოლო ქ. ბათუმი, ქობულეთი და ხელვაჩაური — „ქართულ ოცნებას“. ყველაზე მძიმე არჩევნები საქართველოს მასშტაბით, ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონებში იყო. თითქმის ყოველ შეხვედრაზე თავს გვესხმოდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ ჩვენს აქტივისტებს. მსგავსი რამ არც ხელვაჩაურში, არც ქობულეთში და, ცხადია, არც ბათუმში არ დადასტურებულა. მურმანი უკვე აგვისტოში აანონსებდა, რომ მთის რაიონებში არჩევნებს ვერ მოვიგებთ, რადგან მაჟორიტარები ფულს არ დახარჯავენო. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მთის რაიონებში მაღალ დონეზე ჩავატარეთ საარჩევნო კომპანია. ყველა უბანზე კგბ-ს უფროსი მ. ზოიძე გვისწრებდა წინ და ამომრჩევლებს აშანტაჟებდა, შეხვედრაზე არ გამოსულიყვნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მთის რაიონებში აქტივი არ გვყავდა და ქალაქიდან აგვყავდა მხარდამჭერები. მაშინ რაიონებში „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, არ არსებობდა. სიმართლე თუ გინდათ, არც ახლა არსებობს, აჭარაში პარტიული მშენებლობა ნულის ტოლია. ბათუმის შტაბიდან მთის რაიონებში ურეკავდნენ სანდო პირებს, რომ მაჟორიტარები არ გვაინტერესებს, პარტიაზე იმუშავეთო. მურმანმა დაბლოკა ჩემი მიწოდებული კლიპების მასალები, რომლებშიც მხილებული იყვნენ ნაცმოძრაობის კანდიდატები.

გ.გ : — ნაცმოძრაობის მიერ ამომრჩეველთა მოსყიდულობა თუ დადგინდა?

შ.ზ: — მოსახლეობაში ღიად არიგებდნენ ფულს. მეტიც: ბატონი ლ. ვარშალომიძე და ზ.ჭიაბერაშვილი მათ მაჟორიტართან ერთად აგვისტოში ნიგაზეულში ავიდნენ და მოსახლეობას, თუ ხმებს მისცემდნენ, მათი თანასოფლელის ხიმშიაშვილის ციხიდან გამოშვებას დაჰპირდნენ, რომელსაც ეკონომიკურ დანაშაულზე 8 წელი ჰქონდა მისჯილი. არჩევნების შემდეგ ეს ფაქტი სასამართლოს განსჯის საგანი გახდა. ხელვაჩაურის მოსამართლე დ. მამისეიშვილმა, რომელიც, ფაქტობრივად, ნაცების მხარე იყო და ცინიკურად იქცეოდა, 9 მოწმე გააგდო სასამართლოდან. რამდენიმე დღის შემდეგ სააკაშვილის ბრძანებით, პატიმარი გაუშვეს ციხიდან, ხოლო მოსამართლე დააწინაურეს.

როცა მთის რაიონებში თავგანწირულად ვიბრძოდით არჩევნების მოსაგებად, ბათუმის შტაბში ისხდნენ და ადგილებს ანაწილებდნენ. 2 ოქტომბერს თანამდებობების განაწილება უკვე დასრულებული იყო.

გ. გ: — ბატონო შოთა, სურათი ნათელია. საგულისყურო, არჩევნების შემდეგ როგორი ვითარება შეიქმნა?

შ.ზ: — არჩევნების შემდეგ, ნაცებთან გარიგების თანახმად, მურმანი კბილებით იცავდა ვარშალომიძის კადრებს. ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში არჩევნები არ გაყალბებულა. ხულოს, შუახევისა და ქედის ნაცმა დეპუტატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მურმანის ვიცესპიკერობას. არჩევნების დროს ჩემამდე მოდიოდა ხმები, რომ ნაცების ხულოს მაჟორიტარი, რომელიც ბიზნესმენია, მურმანს აფინანსებდა კიდეც. მას აჭარა თავის სამოურავოდ წარმოედგინა.

აქ, მაინც მთავარი ის არ არის, რომ მურმანს ბატონი არჩილიც მხარს უბამდა, ხულოს, ქედისა და შუახევის „დამარცხებულ“ მაჟორიტარებს ჯვაროსნული ომი გამოგვიცხადეს. ბრწყინვალე პიროვნებები ზ.საგინაძე, ა. მამულაძე, დ.ანანიძე ახლაც უმუშევრები არიან, მაშინ, როცა აჭარის მთავრობისა და პარლამენტის აპარატები ნათესავ-მეგობრებით, ნათლია-ნათლულებითა და თანაკლასელებით აავსეს. ბატონი მურმანის დავალებით უმაღლესი საბჭოს აპარატიდან გაგდეს ა. მამულაძის რძალი, რომელმაც ოთხი უცხო ენა სრულყოფილად იცის და ბრწყინვალე პროგრამისტია. ქედის მაჟორიტარი, ბრწყინვალე იურისტი დავით ანანიძე ფორუმმა აჭარის მთავარ პროკურორად დაასახელა. ესეც მურმანმა დაბლოკა. ამ პოსტზე თბილისიდან ლ.გზირიშვილი გამოუშვეს. ერთხელ თამარის დასახლებაში მურმანის ამომრჩევლებთან შეხვედრას დავესწარი და სირცხვილით კინაღამ დავიწვი, ისეთ სისულელეებს ლაპარაკობდნენ. რა ნამუსით ახმიანებს მურმანის იდეებს დეპუტატი ა.ჩიტიშვილი, რომელსაც ადგილობრივ არჩევნებში მერობის „ქართული ოცნების“ კანდიდატისთვის ხმა არ მიუცია?!

ყოვლად გაუმართლებელმა საკადრო პოლიტიკამ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ადგილობრივ არჩევნებში ბათუმში მხოლოდ ამომრჩეველთა 17 პროცენტი მოვიდა. 80 ათასზე მეტი კაცი არჩევნებზე არ გამოცხადდა. ხაბაძის იმპიჩმენტს რესპუბლიკური პარტიიდან გაქცეული დეპუტატები უჭერდნენ მხარს.

გ. გ: — რას იტყვით მთავრობის თავმჯდომარეზე, ვინ არის არჩილ ხაბაძე? არის თუ არა სიმართლე, რასაც მურმანის მომხრე უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აცხადენენ?

შ.ზ: — ბატონ მურმანს ვერ მოუნელებია, რომ ბათუმის მერი ვერ გახდა მისი პროტეჟე. გახსოვთ, ალბათ, როცა აჭარის პოლიციის სამმართველოს უფროსად მის ახლობელზე უარი ითქვა, აჭარის პარლამენტარები ერთხმად გადაცვივდნენ ბიძინა ივანიშვილთან. მაშინ იგი პრემიერი იყო. ბატონმა ბიძინამ ისინი შეახვედრა შინაგან საქმეთა მინისტრს. ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოიჩინა პოლიტიკური სიმტკიცე და მურმანის ლაქიებს კუდით ქვა ასროლინა. იმპიჩმენტის მოტივად ასახელებენ, რომ ა. ხაბაძე დევნის „ქართული ოცნების“ აქტივისტებს, მაგრამ არ ამბობენ ვის? ისინი ყველანი მისი და რესპუბლიკური პარტიიდან გაქცეულების ახლობლები არიან. არც მ. დუმბაძეს და არც აჭარის პარლამენტის არც ერთ დეპუტატს, გარდა ა.თხილაიშვილისა, არ წამოსცდენიათ, რომ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები და ყოფილი მაჟორიტარები ა. მამულაძე, ზ.საგინაძე, ნ.ძნელაძე, ფორუმელი დ.ანანიძე და სხვები არჩევნებიდან ორი წლის შემდეგაც უმუშევრები არიან, მაშინ როცა, თბილისში, დამარცხებული კანდიდატები გ.ოდიშარია, ი.ალასანია მინისტრებად დაინიშნენ.

გ. გ: — ამის შესახებ ბატონმა ბიძინამ თუ იცის?

შ.ზ: — შარშან ურეკში შევხვდით ბატონ ბიძინას, სამი საათი დაგვითმო. გულახდილად ვუთხარით ყველაფერი. იქვე დაურეკა ბატონ არჩილ ხაბაძეს და დაავალა შეგვხვედროდა და გადაეწყვიტა ჩვენი პრობლემები. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, ბატონი არჩილი კი საგულდაგულოდ გვემალება და მასხრად გვიგდებს.აჭარის მთავრობაში არ არსებობს მოქალაქეთა მიღების ინსტიტუტი. ბატონი არჩილი ღებულობს მხოლოდ თავისთვის სასურველ პირებს. აჭარის პარლამენტში მიღებაზე მისული ერთი ქალბატონი გალახეს კიდეც. ერთი სიტყვით, ბატონმა არჩილმა პრემიერის დავალება არ შეასრულა. სამაგიეროდ ფრიადზე ასრულებს ვარშალომიძის განკარგულებებს. თურმე, ნუ იტყვით და ჩვენი დამარცხება ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში თითო მილიონი ლარი დაუჯდათ. ამიტომ გადაუწყვეტიათ ჩვენზე შურისძიება.

გ. გ: — მე ვესწრებოდი 2012 წლის აგვისტოში ბათუმში გამართულ ბატონ ბიძინასთან შეხვედრას, სადაც 80 ათასი კაცი მივიდა. ჩემდა გასაკვირად, ამ მიტინგზე სიტყვით არც ერთი აჭარელი არ გამოიყვანეს. მეგონა, რომ თქვენ აუცილებლად გამოხვიდოდით.

აჩიკოს პაპიკო, გურამიკოს ლევანიკო, იყოფს აჭარას...

ნაციონალები აშკარად შლიან ახალ ანტისახელმწიფოებრივ ფრონტს

შ.ზ: – მიტინგი ბატონი მურმანის კარნახით წარიმართა. მას კი ხელს არ აძლევდა აჭარელი კაცის გამოჩენა. იგი ყველა აჭარელში კონკურენტს ხედავდა.

გ. გ: – ბატონი ბიძინას რეაგირება როგორი იყო ამ ფაქტზე?

შ.ზ: – ნამდვილად არ ვიცი.

გ. გ: – თბილისში მაღალჩინოსნებს თუ შეხვდით?

შ.ზ: – არა. ქუთაისში ჩავაკითხეთ დ. საგანელიძეს. ტელეფონზეც არ დაგველაპარაკა და საერთოდ დაგვემალა. ადგილობრივი არჩევნების წინ ბატონ კ. კალაძეს შევხვდი და ვთხოვე ჩვენი მიღება. ბატონმა კახიმ თავის თანაშემწეს, გიორგის, დაავალა არჩევნების შემდეგ უზრუნველეყო ჩვენი მიღება. არჩევნების შემდეგ თანაშემწეს მე დავუკავშირდი. კატეგორიული უარი გვითხრა, კალაძე მოქალაქეებს არ ღებულობსო. შევხვდით ასევე ბათუმში ჩამოსულ პარლამენტის სპიკერს. ნახევარი საათის საუბრის შემდეგ, დავრწმუნდით, რომ ბატონი დავითი ნაცების გადარჩენაზე ფიქრობს და არა „ქართული ოცნების“ აქტივის ბედზე. ქუთაისში შევხვდით ასევე უმრავლესობის ზოგიერთ დეპუტატს კოალიციიდან. ამქვეყნიური და ქართული ოცნების არაფერი სცხიათ.

გ. გ: – ვინ არის ბატონი ხაბაძე. მოდის ხმები, რომ იგი „პაპიკოს“ გავლენის ქვეშ არის. მისი მამა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში საკვანძო თანამდებობაზეა და მარჯვენა ხელი იყო ვარშალომიძის კორუფციულ სქემაში, სიტყვა „პაპიკომ“ ხომ არაფერი განიშნათ?

შ.ზ: – ნამდვილად არ ვიცი, მარჯვენა იყო თუ მარცხენა. ამაში მ. დუმბაძე უფრო ერკვევა. იცის, ვის რომელი ხელი გაუხმება. ფაქტია, რომ აჭარაში, სანაპირო ზოლში და ბათუმში მიწები ჩალის ფასად გაიყიდა, გასხვისდა. ბატონი არჩილი სრულიად უცნობი სახე იყო აჭარაში. ხსენებულმა სიტყვამ ერთი ანეკდოტური მოარული ხმა გამახსენა. როგორც ჩანს, თბილისშიც ჩამოაღწია. ბატონი არჩილის მამას პირადად არ ვიცნობ. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი.

გ. გ: – გამოდის, რომ აჭარას ტრიუმვირატი მართავდა?

შ.ზ: – ნამდვილად ასე იყო. სავალალო ისიცაა, რომ ვერ გაიყვეს და ერთი დავიდარაბა ატეხეს. პრესისა და ჩვენი სიგნალები ყურად რომ ეღო ხელისუფლებას, აჭარაში ბევრი რამ უკეთესად იქნებოდა. მე კვლავ ვაპირებ ბატონ კალაძესთან შეხვედრას. უნდა ვესაუბრო, თუ მისი სურვილი იქნება, პარტიული მშენებლობის პრობლემებზე.

გ. გ: – ნათელია, რომ ხაბაძე უნდა გადადგეს. შორიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი ამ თანამდებობისათვის მოუმწიფებელი გამოდგა.თქვენ ვის მოისაზრებთ მის შემცვლელად?

შ.ზ: – შეუცვლელი არავინაა. თუმცა, ამას მე არავინ მეკითხება. მე შემიძლია, რამდენიმე პირი დაგისახელოთ, პირველ რიგში ეს არის აჭარის პარლამენტის წევრი ანზორ თხილაიშვილი. ჩემი ფიქრით, ღირსეული ხელმძღვანელი იქნება ჯემალ ინაიშვილი, რომელიც თბილისში მოღვაწეობს. გაწონასწორებული პიროვნებები არიან თბილისის საკრებულოს წევრი ავთანდილ დავითაძე, აჭარის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, დავით თამაზაშვილი. იქნებ ამ ეტაპისთვის უკეთესი იყოს არაა-ჭარელი. მე ძალიან მომწონს დეპუტატი გიორგი ვოლსკი, რომლის ახლო წინაპარს დიდი ღვაწლი აქვს ბათუმისა და აჭარლების წინაშე. აჭარის ხელმძღვანელი 50 წელზე ნაკლები ასაკის არ უნდა იყოს. ძველ გერუსიაში სამოც წელზე ნაკლები ასაკის პირი ვერ შევიდოდა. უნდა დასრულდეს აჭარაში ნათლიანათლულების, თანაკლასელების და ა.შ. ხელისუფლება.

გ. გ: – დაბოლოს, ვინ არის გიორგი ერმაკოვი?

შ.ზ: – გიორგი ერმაკოვი კარგი ოჯახის შვილია. მე ვიცნობდი მის მამას. მის სასარგებლოდ ვმუშაობდი ადგილობრივ არჩევნებში. ვაპირებ მასთან შეხვედრას და საუბარს. მჯერა, რომ გაამართლებს ჩვენს იმედებს, თუ ნაცმოძრაობის დროინდელ პერსონაჟებთან დისტანციური იქნება.

გ. გ: – ბატონო შოთა, არაფერი გვითქვამს ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

შ.ზ: – ბატონ ბიძინას შარშან ურეკში შეხვედრისას ვუთხარი, ძალიან მომწონს ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი-მეთქი. მაშინ იგი მინისტრი იყო. შორიდანაც ჩანს, რომ იგი მარტოა და მის წინააღმდეგ ჯადოსნური წრე იკვრება. თუ ვინმე ყელში გაეჩხირა ნაცმოძრაობას, ეს ბატონი ირაკლია. მას ქართველი ხალხის თანადგომა სჭირდება. კარგად დაიწყო თბილისის ახალმა მერმა.

გ. გ: – როგორ ჩაიარა აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნებმა, თუ იყო გაყალბების მცდელობები?

შ.ზ: – დაბეჯითებით ვიტყვი, რომ მარგველაშვილის ხმები არ გაყალბებულა. მაგრამ გაყალბებას მაინც ჰქონდა ადგილი. რიგ უბნებში გაყალბდა ბურჯანაძის ხმები ბაქრაძის სასარგებლოდ. საარჩევნო ოლქების ადმინისტრაცია ჯერაც ნაცებითაა დაკომპლექტებული და არაფერი შეცვლილა.

გ. გ: – მეჩვენება, რომ კომპრომატებზე ძალიან ძუნწად საუბრობთ?

შ.ზ: – ყველაფრის ერთად დაფრქვევა საჭირო არ არის. ყულაბაში იმდენი კომპრომატია, ყველაფერი რომ ვთქვა, თქვენი გაზეთის მთელი ნომერი ვერ დაიტევს. თუ გონს არ მოეგებიან, ყველაფერი წინ არის. ისეთ რამეს გეტყვით, ზოგი თავს ვეღარ გამოყოფს გარეთ.

გ. გ: – ბატონო შოთა, წლების მანძილზე მუშაობდით ჟურნალისტიკაში. ორჯერ იყავით აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელი. რას ფიქრობთ დღევანდელ მასმედიაზე?

შ.ზ: – აჭარის ტელევიზიაში, როცა ვმუშაობდი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ვიტყვი, რომ მთელ ქართულ ტელესივრცეში ყველაზე უფრო ობიექტური საინფორმაციო გამოშვება გვქონდა. აუცილებლად უნდა დაიხვეწოს მასმედიის კანონი. გაიხსენეთ ბატონი ბიძინას პირველი პრესკონფერენცია?! ის უხამსობა, რაც ჟურნალისტებმა აჩვენეს, უზნეობის ჩარჩოებშიც კი არ თავსდება. ჩვენი ჟურნალისტების უმრავლესობა უფლებებს ითხოვს და მოვალეობა ავიწყდებათ. ჟურნალისტი მხარე არ უნდა იყოს. „რუსთავი-2“-ის აღვირახსნილობას საზღვარი აღარ აქვს, ის, მისტირის სააკაშვილის რეჟიმს. ზოგიერთი გაზეთი არ წაიკითხება. ამ ფონზე სოლიდურად გამოიყურება , „საქართველოს რესპუბლიკა“, ქართული სიტყვა,“ „საქართველო და მსოფლიო“. ისიც ნათელია, რომ პრესის კრიტიკული გამოსვლები რეაგირების გარეშე რჩება. გაზეთიც და ტელეარხიც, რომელიც ქართულ საქმეს არ ემსახურება, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა.

გ. გ: – სავსებით გეთანხმებით. ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ ბატონი ვანო მერაბიშვილი ბათუმში კონსპირაციულად ხვდებოდა მსხვილ საბიუჯეტო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მილიონობით ლარს არიცხინებდა ნაცმოძრაობის სასარგებლოდ. ახალმა ხელისუფლებამ ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია?

შ.ზ: – მეტსაც გეტყვით, სულ მიკვირდა, რომ აჭარის ტელევიზიის წლიური ბიუჯეტი 6 თუ 7 მილიონი იყო. მე ბატონ არჩილს ვუთხარი, რომ აუდიტი შეეყვანათ. შენც არ მომიკვდე. ცდილობენ ძველი ხელისუფლების ნაკვალევის წაშლას. მეტიც, შეკითხვები მაქვს აჭარის ფინანსური პოლიციის მიმართ, გადაეგზავნათ ჩემ მიერ მოპოვებული და პროკურატურაში წარდგენილი ძველი ხელისუფლების დროინდელი აუდიტის აქტი, რომელშიც დაფიქსირებულია შუახევის რაიონის გამგებლის მიერ შეუსრულებელი ტენდერების მიღება და სხვა ძალიან საეჭვო დეტალები. ერთი წელი გადის და პასუხი არ ჩანს.

ბატონო გურამ, გეხსომებათ ლომაიას განათლების მინისტრობის დროს, კონტროლის პალატამ კომისიური წესით შეამოწმა განათლების სამინისტრო და გამოავლინა 40 მილიონი ლარის ფინანსური გარღვევა. კონტროლის პალატის მუშაკები სააკაშვილმა სამსახურიდან გაყარა, ხოლო მინისტრი ლომაია გაეროში გაგზავნა. საჭიროა, ჩვენი ფინანსთა მინისტრი დაინტერესდეს ამით.

გ. გ: – თქვენ ბათუმში მეორე მეჩეთის აშენებას მკვეთრად ეწინააღმდეგებოდით?

შ.ზ: – მე ახლაც წინააღმდეგი ვარ. დღეს აჭარაში იმაზე მეტი მეჩეთია, რამდენიც საჭიროა. ეს თემა უცხოეთიდან შემოგდებულია და აიტაცა ნაცმოძრაობამ. იგი ოსმალეთის იმპერიის აღდგენის იდეოლოგიის ერთი ბილიკია. სააკაშვილმა აჭარა XVIII საუკუნეში დააბრუნა. ყოველთვის მიმაჩნდა, კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი, რომ ადამიანის რწმენა ხელშეუხებელია და მასში ხელოვნური ჩარევა დაუშვებელია. სამწუხაროა, რომ ქართველი მუსლიმანების სულში ხელს აფათურებენ გაურკვეველი პოლიტიკური ელემენტები, როცა ცდილობენ, აჭარა დაფარონ მედრესეებითა და სხვა მაღალი საფეხურების მუსლიმანური სასწავლებლებით. როცა 8, 10, 12 წლის ბავშვებს იძულებით მედრესეში ერეკებიან, ეს უკვე დანაშაულია. ამას სჩადიან უცხოეთიდან დაფინანსებული საქართველოს გარეშე და შინაური მტრები.

ჩვენმა მეზობელმა თურქეთმა კეთილი ინებოს და თავის მოქალაქეებს სტამბოლსა და ანკარაში, სადაც ბევრი ქრისტიანი ცხოვრობს, ეკლესია აუშენოს. ჩვენს მოქალაქეებს ჩვენ ვეპატრონებით.

იმასაც დავამატებ, რომ საქართველოში რელიგიური კონფლიქტის კერების შექმნა ნაცმოძრაობის დივერსიული პროგრამის ნაწილია.

გ. გ: – თქვენი აზრით, კიდევ რა შედის ნაცმოძრაობის დივერსიულ გეგმაში?

შ.ზ: – მათ დივერსიულ გეგმაშია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავება. ღმერთმა დაგვიფაროს და რუსეთი რომ გაგიჟდეს და თავს დაგვესხას, ნაცმოძრაობის სახით საიმედო მოკავშირე ეყოლება. უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ უცხოეთში საქართველოს იმიჯის შესარყევად. ისიც კარგად გვახსოვს, აგვისტოს ომის დროს როგორ ავალებდნენ ერთ-ერთ ჩვენს გენერალს ჩვენივე ტერიტორიის დაბომბვას. ისიც ვიცით, 2004 წელს როგორ განიხილებოდა ბათუმის დაბომბვის გეგმა, რასაც წინ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე აღუდგა.

გ. გ: – გამოდის, რომ სააკაშვილის სიბრიყვეს საზღვარი არ ჰქონია?

შ.ზ: – გამოდის კი არა, ეგრეა. აფხაზეთის ომის დროს სააკაშვილი უკრაინაში იმალებოდა. ამას სხვანაირად დეზერტიორობა ჰქვია. ვის რა უნდა მოვთხოვოთ, როცა აფხაზეთის ომის დეზერტირი მთავარსარდლად დავისვით. იგი სამხედრო საქმეში ისე ერკვევა, როგორც მე ტიბეტურ ქირურგიაში.

გ. გ: – ადრეც საუბრობდნენ და ახლაც დაიწყო მოძრაობა ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით. თქვენ რა აზრისა ხართ?

შ.ზ: – მე დავამატებდი აჭარის უმაღლეს საბჭოსაც. 2012 წლის არჩევნებში ნაცმოძრაობამ, ეგზიტპოლების მიხედვით, ხმების 18 პროცენტი აიღო. მათი 25 კანდიდატი გაყალბების გზით, ანუ უკანონოდ ზის პარლამენტში. არც უამრავლესობის რიგ დეპუტატებში ჩანს ჯანსაღი პოზიცია. ჩემი აზრით, ექვსი თვე დასჭირდება „ქართული ოცნების“ წმენდას და პარტიულ მშენებლობას. კოალიცია უნდა დაიშალოს. ყოველ შემთხვევაში, ზოგმა სუბიექტმა უნდა დატოვოს. 2011-2012 წლებში საქართველოში ყველაზე პროგრესული ძალა სახალხო კრება იყო, რომელიც ვერ მოხვდა კოალიციაში. ჩემი აზრით, თუ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება, აუცილებლად კენჭი უნდა იყაროს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. 2012 წლის არჩევნების პროპორციულ გამსვლელ სიაში აჭარიდან არც ერთი კანდიდატი არ იყო. აჭარა წარმოდგენილი არ არის საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ეს მე თავის დროზე ვუთხარი ბატონ დავით უსუფაშვილს.

გ. გ: – რაში ხედავთ საქართველოს მომავალს?

შ.ზ: – როცა სათავეში ნაცმოძრაობა, ეს შავი ჭირი, მოვიდა, მთელი საქართველო გაყარეს სამსახურებიდან. აჭარაში დამლაგებლებიც კი თბილისიდან ჩამოიყვანეს. დამლაგებლებადაც კი კგბ-ს აგენტებს ნიშნავდნენ. მაშინ იყო თუ არა ეს პოლიტიკური დევნა? ლამის მთელი საქართველო ციხეში ჩასვეს. ადამიანებს იბარებდნენ და ფულს სძალავდნენ. არ გადაიხდიდი და ციხეში წახვიდოდი. ამ დროს, სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ დასავლეთიდან. მაშინ რატომ არ აკეთებდნენ განცხადებებს პოლიტიკური დევნის შესახებ?! ამაზე პასუხი უნდა მოეკითხოს აშშ-სა და ევროპელ ელჩებს საქართველოში.

საქართველოს მომავალი არ უწერია, თუ სააკაშვილი და ნაცმოძრაობა არ გაასამართლა ქართულმა სამართალმა. სარფში შეხვედრისას სააკაშვილმა საგანგებო დავალებით აღჭურვა თავისი აქტივისტები.

გ. გ: – ნაცმოძრაობა ანუ ე.წ. ოპოზიცია თავისი აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ბინძური იდეოლოგიური იარაღით – „რუსთავი-2“-ის ეთერით ცრემლებს ღვრის, თუ მსხვილ კრიმინალებს დაიჭერთ, მსოფლიოში საქართველოს სახელი დაეცემა და ქართველი ხალხი დაზარალდებაო.

შ.ზ: – ხალხი მაშინ დაზარალდა, როცა სააკაშვილმა ცხრა პირი ტყავი გააძრო და გაიპარა. საქართველოს სახელი მაშინ დაეცა, როცა ციხის კედრები ნახა მსოფლიომ. ეს იყო დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ვთვლი, რომ ხაზინის ქურდები და ხალხის მძარცველები თუ დაისჯებიან, ჩვენი ქვეყნის სახელი გაიზრდება.

გ. გ: – როგორც მწერალი პუბლიცისტი, როგორ აფასებთ უკრაინის მოვლენებს?

შ.ზ: – ეს ეტაპი საქართველომ 1991-1992 წლებში გაიარა. ქართველმა პუტჩისტებმა რუსებს ზვიადის ჩამოგდებაში აფხაზეთი მისცეს, უკრაინელებმა კი იანუკოვოჩის გადაყენებაში – ყირიმი. თუმცა, ეს განსხვავებული სცენარით წარიმართა. ყირიმი რუსებმა მშვიდობიანად ჩაიბარეს. დაზარალდა მხოლოდ უკრაინელი ხალხი. დაღუპულთა ცოდვა იმათ მოეკითხება, ვინც ე.წ. ოპოზიციას აფინანსებდა და აქეზებდა.

გ. გ: – ბატონო შოთა, არის საგნები, რომლებიც შორიდან უკეთესად ჩანს. რას ურჩევდით ახალ ხელისუფლებას?

შ.ზ: – პირველ რიგში, უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეთა მიღება, ხალხთან კავშირი, რაც სააკაშვილის დროს გაწყვეტილი იყო. ზოგიერთი ფუნქციონერი ხალხს ახლაც ემალება. ხელისუფლებამ ზღვარი უნდა დაუდოს სააკაშვილის ნარჩენების დემაგოგიას. ჩემი ფიქრით, „ქართული ოცნების“ ლიდერები, ჩვენი მინისტრები და დეპუტატები, მათთან სატელევიზიო დებატებში არ უნდა დასხდნენ. თბილისშიც და რეგიონებშიც „ქართული ოცნების“ რიგები უნდა გაიწმინდოს ნაცმოძრაობის მიერ ჩანერგილი ადამიანებისაგან. უნდა დასრულდეს ჟვანიას საქმე, მით უმეტეს, ყველაფერი ნათელია. მთავრობამ და საკანონმდებლო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ქართველი ხალხის აზრი და არა ის, რას იტყვიან დასავლეთში. უკეთესია ამ პრობლემაზე ცალკე ვისაუბროთ. თავისუფლების ინსტიტუტის კადრები საკვანძო თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნონ. სასწრაფოდ მისახედია განათლების სისტემა. უნდა დაიხუროს უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. ელცინისდროინდელ რუსეთში, რუსი ავტორის ცნობით, ასეთი სამასი ათასი იყო. ახლა არც ერთი აღარ არის. სასწრაფოდ მისახედია აჭარა. სააკაშვილმა XVIII საუკუნეში დაგვაბრუნა. უნდა აიკრძალოს მედრესეებისა და მუსლიმანური სასწავლებლების გახსნა. როცა პირველი პრეცედენტი იყო, თქვენი გაზეთის საშუალებით განგაში ავტეხე, მაგრამ არავინ მომისმინა.

გ. გ: – მადლობა გულახდილი საუბრისათვის. მომავალ შეხვედრამდე!

შ.ზ: – მზად ვარ, ყოველთვის ვითანამშრომლო თქვენს გაზეთთან.

ბატონ შოთა ზოიძეს ეკითხებოდა
გურამ გოგიაშვილი.

კითხვა-პასუხი ბათუმსა და თბილისს შორის ინტერნეტით გაიმართა 2014 წლის 22 სექტემბერს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ექს-პრეზიდენტი ანგარიშებით უპასუხებს

გენერალურმა პროკურატურამ სააკაშვილისა და მისი ოჯახის ქონება დააყადაღა

საქართველოს ხელისუფლება აძლიერებს ზემოქმედებას ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე. გენერალურმა პროკურატურამ დააყადაღა სახელმწიფოს ექს-მეთაურის, მისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების ქონება გაფლანგვის შესახებ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში. მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლები მომხდარს „რუსი ოლიგარქის ივანიშვილის შურისძიებას“ უწოდებენ, ექსპერტები უკვე მიუთითებენ იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება ექს-პრეზიდენტის წინააღმდეგ იყენებს იმ მკაცრ კანონებს, რომელთა ინიციირებაც მან თავად მოახდინა.

გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილების შესახებ დააყადაღოს მიხეილ სააკაშვილის ანაგრიშები საქართველოს ბანკებში, იტყობინება მისი ადვოკატი ოთარ კახიძე. **„ივანიშვილის ნებართვით დაყადაღებულია მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშები,** — დაწერა ადვოკატმა თავის ფურცელზე ფეისბუქში. — **პროკურატურის თანამშრომლებმა ისიც კი არ იკადრეს, რომ გადაემოწმებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ბანკის მომსახურებით სარგებლობდა ექს-პრეზიდენტი, ბრძანება უმალვე ყველა ბანკს გაეგზავნა“. „ბრძანება ანგარიშების დაყადაღების შესახებ ეგზავნება ყველა ბანკს, ანგარიშებს კი აყადაღებენ იქ, სადაც მათ აღმოაჩენენ“,** — განმარტა ჩვენთან საუბარში საქართველოს ბანკების ასოციაციის თანამშრომელმა მალხაზ გაგნიძემ.

წინა დღით პროკურატურამ დააყადაღა ექსპრეზიდენტისა და მისი ნათესავების ქონება. დაყადაღებულია მიწის ნაკვეთი ფართობით 2 ჰექტარი და სახლი ყვარელში 75 კვადრატული მეტრის ფართობით, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს. მისი მეუღლის, ნიდერლანდის მოქალაქის სანდრა რულოვსის, დედის, პროფესორ გიული ალასანიას თბილისის ბინები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებიც გაფორმებულია ბებია მზია წერეთლის სახელზე. გენერალურ პროკურატურაში განგვიმარტეს, რომ ქონების დაყადაღება „მოხდა მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში“. თბილისის მერის დავით ნარმანიას სიტყვებით, თუ სასამართლო ექს-პრეზიდენტს დამნაშავედ მიიჩნევს, პროკურატურას შეუძლია მოითხოვოს ქონების გაყიდვა აუქციონიდან ზარალის ასანაზღაურებლად“. მიხეილ სააკაშვილის ნათესავებმა ამას „უზარმაზარი უსამართლობა“ უწოდეს.

თავად ექს-პრეზიდენტმა ემოციური რეაგირება მოახდინა გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებაზე ნიუ-იორკიდან პირდაპირი ჩართვის დროს, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობს 2013 წლის ნოემბრიდან. მიხეილ სააკაშვილმა ყოველივეში ბრალი დასდო ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს და მას უწოდა „მეწვრილმანე, დაკომპლექსებული, ბოროტი რუსი ოლიგარქი“, ამავე დროს ის დაგვპირდა, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ „არ იძიებს შურს არც მის მიმართ, არც მათ მიმართ, ვინც ღებულობს ასეთ აბსურდულ და უკანონო გადაწყვეტილებებს“. თავიანთ ლიდერს მხარს უჭერენ დეპუტატები ოპოზიციური პარტიიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პარლამენტის წევრმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ნუგზარ წიკლაურმა ექს-პრეზიდენტის ოჯახის ქონების დაყადაღებას „სრული კლინიკური აბსურდი“ უწოდა, თუნდაც მასზე ჰქონდეთ ეჭვი თანამდებობრივი დარღვევების გამო.

სხვათა შორის, ექსპერტების აზრით, პროკურატურის მიდგომა სრულად შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას. **„2005 წელს სააკაშვილმა და „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ მისმა გუნდმა მიიღეს უპრეცედენტოდ მკაცრი კანონი ორგანიზებულ დანაშაულებთან და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“,** — შეახსენა ჩვენს გაზეთს ყოველკვირეული გაზეთის „პრემიერის“ მიმომხილველმა ზურაბ ღოღობერიძემ. კანონში „იურიდიულ ნოვაციად“ შეიტანეს ნორმა „დაკავშირებული პირის შესახებ“. **„ასეთ პიროვნებად ითვლებიან ნათესავები, მეგობრები ან ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომლის სახელზეც, პროკურატურის ვარაუდით, შეიძლება იყოს გადაფორმებული საკუთრება, რაც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული,** — განგვიმარტა ჩვენმა თანამოსაუბრემ. — **არ გამიკვირდება, თუ განაჩენის გამოქვეყნების უმალვე ყველა ეს ბინა და მიწის ნაკვეთები გაიყიდება, ამოღებული ფული გადაირიცხება ბიუჯეტში, ექს-პრეზიდენტის დედას, მეუღლესა და ბებიას უბრალოდ ქუჩაში გამოყრიან“.**

თავის წინამორბედს მოულოდნელი მხარდაჭერა გამოუხატა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. ტელეარხ „იმედის“ თოქ-შოუ „რეაქციაში“ მან გამოხატა გაკვირვება, რომ გენერალურმა პროკურატურამ დააყადაღა სააკაშვილისა და მისი ნათესავების ქონება და ანგარიშები, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უკმაყოფილებისა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან შეხვედრის წინა პერიოდში. **„ეს შეიძლება გახდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერის ვიზიტის მძიმე ფონი“,** — გაგვაფრთხილა პრეზიდენტმა.

Коммерсант

◎ საქართველო კვლავ გაურკვევლობაშია

„მოღალატე“ შოტლანდიელები

ამ დღეებში გამართულ რეფერენდუმზე შოტლანდიელების უმრავლესობამ (55%) უარი თქვა დამოუკიდებლობაზე. საქართველოში დამკვიდრებული პოლიტიკური აზროვნების ნორმებში ეს მოვლენა არ ჯდება — როგორ შეიძლება, უარი თქვა საკუთარი ერის დამოუკიდებლობაზე? თანაც საუბარია მდიდარი ისტორიისა და ტრადიციების მქონე შოტლანდიაზე და არა რომელიღაც ზღვისიქითა კოლონიაზე.

საქმეც ისაა, რომ ერის ინტერესები მხოლოდ ფორმალური დამოუკიდებლობით არ განისაზღვრება. საზოგადოება, ჯერ კიდევ უძველესი ჩინელი თუ ანტიკური მოაზროვნეებიდან მოყოლებული, ეძებს გზებს, იყოს ბედნიერი, ბედნიერება კი მრავალი ფაქტორისაგან შედგება, რომელთაგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სულაც არ არის უმთავრესი. შოტლანდიელების არჩევანი განპირობებულია არა ფუჭი ემოციებით, არამედ რაციონალური გათვლით — რა იქნება ჩემი და ჩემი შვილებისთვის უკეთესი მომავალი? ამომრჩეველთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ არ ღირს ბედის ცდა დამოუკიდებლობის გზაზე, უმჯობესია, შენარჩუნდეს სტაბილურობა და „დღევანდელი კვერცხი“, ნაცვლად „ხვალინდელი ქათმისა“.

ქართველი ამომრჩევლისთვის ეს სიტუაცია დღესაც არ არის გასაგები და მით უმეტეს გაუგებარი იყო 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, როდესაც ერს ეგონა, რომ მთავარია, გამოაცხადო დამოუკიდებლობა და თავად ამ გამოცხადების ფაქტში დევს უდიდესი საკრალური პატრიოტიზმი. არადა, ობიექტურობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევამ და საქართველოს ავტომატურმა გარიყვამ დამოუკიდებელ არსებობაში, პირველ ყოვლისა, საქართველო დაზარალა — არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურად, არამედ, პირველ რიგში, მორალურად. საბჭოთა ხანაში საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ამაყი ქართველი ერი დღეს სრულ ფრუსტრაციასა და გაურკვევლობაშია, მომავალს კი ნაკლები იმედით შესცქერის.

არადა, 1991 წლის რეფერენდუმზე ვინმეს ხმა რომ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიეცა, მას უდავოდ „მოღალატედ“ შერაცხავდნენ.

სამაგიეროდ, „მოღალატე“ შოტლანდიელებს ბევრად უკეთესი პერსპექტივები აქვთ, ვიდრე ჩვენ, თუმცა, დიდ ბრიტანეთშიც, ისევე როგორც მთელ ევროპაში, დიდძალი პრობლემები დაგროვდა და ისინიც შორს არიან „იდეალური სახელმწიფოს“ მდგომარეობისგან.

შეიძლება, მავანმა თქვას, რომ ამ სტრიქონების ავტორი ახლა, პოსტ ფაქტუმ ალაპარაკდა, როდესაც დაინახა, რომ შოტლანდიამ უარი უთხრა საკუთარ დამოუკიდებლობას. არა, ბატონებო, შოტლანდიელებს მხარი რომც დაეჭირათ დამოუკიდებლობისათვის, განსხვავებით 1991 წლის ქართული რეფერენდუმისა, ეს იქნებოდა რაციონალურ გათვლაზე დამყარებული არჩევანი და არა ემოციური გადაწყვეტილება. შესაბამისად, მთავარი ამ შემთხვევაში რეფერენდუმის შედეგი კი არ არის, არამედ ის მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობს შოტლანდიელი ამომრჩეველი. ჩვენთან, საქართველოში, კიდევ არ ჩამცხრალა აზროვნების დამთრგუნავი ემოციები, „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები ყოველმხრივ ცდილობენ, ქვეყანაში შეინარჩუნონ ანტირუსული ისტერია, ემოციები, რათა ხალხს საშუალება არ მიეცეს, რაციონალურად, გათვლის საფუძველზე გააკეთოს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური არჩევანი.

დღეს ქართველები თავს ვიტყუებთ ფორმალური დამოუკიდებლობით, ამ დროს კი ამერიკის ელჩი ძიძასავით არის მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის, მთავრობისთვისა თუ ოპოზიციისათვის, ჟურნალისტებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. დადის ბატონი ნორლანდი, არიგებს რჩევებსა და დარიგებებს, დროდადრო — დოლარებსაც, ამერიკის საელჩოს გარეშე არ ხდება თითქმის არაფერი, არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ რჩება ბატონი ელჩის კომენტარის გარეშე.

იმავეს ვიტყოდი ჩვენს „დამოუკიდებელ“ აფხაზ და ოს ძმებზე, რომლებთანაც რუსი ჩინოვნიკების გარეშე არ ხდება არაფერი. ისინიც შორს არიან ბედნიერებისგან. თუმცა, მთელი რიგი პარამეტრებით ჩვენზე უკეთ გრძნობენ თავს, რადგან არც დამარცხების სინდრომი აწუხებთ და რუსული დახმარება უფრო ქმედითი აღმოჩნდა, ვიდრე ამერიკული.

შოტლანდიას რაც შეეხება, მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სწორი იყო გუშინდელი არჩევანი. ერთიანი დიდი ბრიტანეთი გადარჩა, მაგრამ მისი და მთელი ევროპის სტრუქტურული სისუსტეები კიდევ უფრო აშკარა გახდა.

გულბაათ რცხილაძე.

დედამიწის ზურგზე

საერთაშორისო გაერთიანება მოუწოდებს, გადაარჩინონ სირიელი ქურთები, რომლებსაც „ისლამის სახელმწიფოს“ ბოევიკები ხოცავენ

ისლამისტებმა ხელში ჩაიგდეს ქურთების სოფლები სირიის ჩრდილოეთში და აწყობენ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ განადგურებას. ქურთები გარბიან თურქეთის საზღვრისკენ: ზოგიერთი მონაცემით, ლტოლვილთა რიცხვი 100 ათას კაცს აჭარბებს. თურქი ქურთების ლიდერები მოუწოდებენ ახალგაზრდებს წავიდნენ სირიაში, რომ შეაჩერონ გენოციდი.

* * *

ამერიკული ზონდი „მავენი“ ათი თვის შემდეგ გავიდა მარსის ორბიტაზე



კოსმოსური აპარატი დედამიწიდან გაუშვეს 2013 წლის ნოემბერში. უახლოეს პერიოდში იგი დაიწყებს მონაცემების შეგროვებას წითელი პლანეტის ატმოსფეროს ზედა ფენების შესახებ და შეისწავლის მის ურთიერთმოქმედებას მზესთან და მზის ქართან.

* * *

ჩინეთში აფეთქებების სერიების შედეგად დაიღუპა 2 კაცი, არიან დაჭრილები

როგორც ცნობილი გახდა, სულ ცოტა სამი აფეთქება პრაქტიკულად ერთდროულად მოხდა ლუნტაის მაზრის მთელ რიგ პატარა დასახლებულ პუნქტებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველაზე არასტაბილურ რეგიონში — სინცზიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში. დაზარალებულები ჰოსპიტალში მიიყვანეს. აფეთქებებს პოლიცია სწავლობს.

* * *

ტურჩინოვს განზრახული აქვს, აუკრძალოს რადაში მუშაობა 24 „გამყიდველ“ დეპუტატს, რომლებიც წავიდნენ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის სხდომაზე

უკრაინის პარლამენტის სპიკერი მზადაა, შეიტანოს უმაღლესი რადის განსახილველად შესაბამისი დადგენილება. დეპუტატები ჯგუფიდან „მშვიდობისა და სტაბილურობისათვის“ იყვნენ რუსეთის სახელმწიფო დუმაში 17 სექტემბერს, დღის მეორე ნახევარში. ელოდებოდნენ რომ მათ შეხვდებოდა ასევე სპიკერი ნარიშკინი.

დავესწარი, ვნახე, რა ვნახე!..

სიცრუე დედაენას სჯობს?!



ფანტაზია რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის მიხედვით

მშრალად დავიწყოთ:

სათაური: **„ასულნი“;**

ქვესათაური: **„ფანტაზია პოლიკარპე კაკაბაძის პიესების მიხედვით“;**

სცენური ვერსია – **რობერტ სტურუა, ნინო კანტიძე;**

რეჟისორი – **რობერტ სტურუა;**

ქორეოგრაფი – **მარიამ ალექსიძე;**

მხატვარი – **ანა ნინუა;**

მუსიკალური გაფორმება – **ია საკანდელიძე;**

ლოტბარი – **ზურაბ წკრიალაშვილი;**

მხატვარ-გამნათებელი – **გოჩა გიორგაძე;**

რეჟისორის თანაშემწე – **მარინა ამაღლობელი.**

გამოყენებულია **ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის, არვო პიარტის, გია ყანჩელისა და ნილ ჰეფთის** მუსიკა;

გია ყანჩელის მელოდიებს ასრულებს **ლიზა ბაგრატიონი.**

* * *

აქ პიესებიც „გამოყენებულია“:

პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიული ქმნილებებიდან („სამი ასული“, „ყვარყვარე“, „კახაბრის ხმალი“) ამოკრებილია საუკეთესო, მარად უკვდავი ფრაზები და, მათი მეშვეობით, გადმოცემულია ჩვენი სამშობლოს ტრაგიკული ბედი.

გადმოცემული და ნაჩვენებია თეატრის ენით, სტურუას თეატრის ენით.

სიტყვის, მუსიკისა და პლასტიკის შთამბეჭდავი სინთეზით.

პლასტიკას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: აფიშაზე შემთხვევით არ წერია ქორეოგრაფის გვარი რეჟისორის შემდეგ.

* * *

„**სტურუა** დაბერდა“.

„კრიზისშია“.

„ წინ ვეღარ მიდის“...

რა საოცარია: ამ თეატრმცოდნეთა პედაგოგებიც ასე ექცეოდნენ მის პედაგოგს.

„რამდენჯერ, უსამართლო კრიტიკით გულგასენილი გამოვსულვარ თეატრიდან და მძაგდა იგი.“ – ამას წერს რეჟისორი, ვისაც უწყლოდ და უჰაეროდ არსებობა უფრო შეეძლო, ვიდრე უთეატროდ.

მიხეილ თუმანიშვილს ყველაფერი გულთან მიჰქონდა.

ამიტომაც ადრე დაბერდა.

ცხადია, ფიზიკურად და არა შემოქმედებითად.

75 წლისა ნამდვილ ბაბუს ჰგავდა.

საბედნიეროდ, სტურუა „უგულოა“.

ამიტომაც არასოდეს დაბერდება.

მას შეუძლია, გაიმეოროს მურმან ლებანიძის სიტყვები: „ვწუხვარ, გულს ვეღარ მტკენენ ჩემი პატარა მტრები“...

მაგრამ სტურუას არ უყვარს გამეორება.

მხოლოდ საკუთარ თავს თუ გაიმეორებს.

ისიც ხანდახან.

ძალიან იშვიათად.

ახალ სპექტაკლში, ერთგან „ყვარყვარე“ გაგახსენდება, სხვაგან – „კავკასიური ცარცის წრე“ ან „რიჩარდ მესამე“.

ეს ბუნებრივია.

ეს ხელწერაა.

ის, რასაც კარგა ხანია, რობერტ სტურუას თეატრი ჰქვია.

არსობრივად კი ეს სპექტაკლი სტურუასთვისაც ახალია.

უფრო ადრინდელ დადგმებს რომ თავი დავანებოთ, ბოლოდროინდელთაც არ ჰგავს.

„მარია კალასს“ ხომ არ ჰგავს და არ ჰგავს, „ნადირობის სეზონისგანაც“ ბევრად განსხვავდება.

„მარია კალასმა“ იმათ წაართვა სალაპარაკო, მთავარ „არგუმენტად“ ეს ყბადაღებული მოსაზრება რომ ჰქონდათ: „სტურუას მსახიობი არ უყვარს!“

„ნადირობის სეზონმა“ იმათ გადაასხა ცივი წყალი, სტურუას ამოწურვა რომ ესიზმრ-ელანდებოდათ.

თუმცა, ზოგიერთი ცივწყალგადასხმული ნირს მაინც არ იცვლიდა და ქედმაღლურად იმეორებდა: „დავიღალეთ ამ რებუსებით.“

ეს პრეტენზია, იქნებ, მთლად უსაფუძვლო არც იყო, მაგრამ საინტერესოა, ამჯერად რაღას მოიგონებენ: მართალია, ახალი სპექტაკლიც იგავურია, სამაგიეროდ, ყველაზე რთული მეტაფორაც კი გამჭვირვალეა...

* * *

„**ასულნი**“ – სახელწოდებამ ორმაგი დატვირთვა შეიძინა: ასულებსაც გულისხმობს და ზემოთ ასულებსაც. ამგვარი წაკითხვისკენ სპექტაკლის აფიშაც გვიბიძგებს: სხვას რას უნდა ნიშნავდეს მუქი სივრცის პატარა თეთრ ნაჭერზე მიდგმული კიბე?

ვაი, რომ ამ კიბეზე ვერავინ ადის.

თუმცა, სპექტაკლის სამოქმედო სივრცე უამისოდაც ორდონიანია: ზაზა ლებანიძის პერსონაჟი უფრო ხშირად „ზემოთ“ იმყოფება, „ქვემოთ“ კი ხალხია, დამონებული ერი.

* * *

სტურუას თეატრში დრო თითქმის არასოდეს კონკრეტდება.

მისთვის, როგორც ყველა დიდი შემოქმედისთვის, დრო უაღრესად პირობითია. მეტიც, შეიძლება, ითქვას, რომ „დრო არ არსებობს“.

ამიტომაც ერთი პერსონაჟი ამბობს: „რა ნელა გადის დრო“, მეორე კი ამას ჩივის: „რა ჩქარა გადის“...

პირველი ფრაზა, რომელსაც მოვისმენთ, ესაა: „ჩემო ერო, სანდომიან ლამაზ მამულში დიდხანს გრძელდებოდა უკუნი ღამე“...

ჩვენი ნებაა, ამ „დიდხანს“ - ში რამდენს ვიგულისმებთ: ცხრა საუკუნეს თუ ცხრა წელიწადს.

უფრო მნიშვნელოვანი კი მომდევნო ფრაზაა: „მაგრამ შენს წიაღში წმინდანებიც იბადებოდნენ“...

იბადებოდნენ.

ამან გადაგვარჩინა.

მაგრამ „დღეის შემდეგ? დღეის ამას იქით?“ (მუხრან მაჭავარიანი)...

ახლა და აწი რაღამ უნდა გადაგვარჩინოს? - აი, ყველაზე წყევლა-კრულვიანი საკითხავი.

* * *

დიდ რეჟისორებს ისე არაფერი აღიზიანებთ, როგორც ეს კითხვა: „რაზეა სპექტაკლი?“

თუმც კი სტურუაზე ნაწყენი ვარ, მისი გაღიზიანება მაინც არ მსურს, ამიტომ ამ კითხვას, შეძლებისდაგვარად, თვითონვე ვუპასუხებ.

როდემდე უნდა ვიყოთ სულ მუდამ მესიის მოლოდინში?!

როდემდე უნდა გვჯეროდეს და გვატყუებდნენ?!

როდემდე უნდა ვეთაყვანებოდეთ და მერე ვაფურთხებდეთ?!

აი, რაზეა ეს სპექტაკლი...

„ჩვენში თვით ბაღლინჯოც კი თავს არსად იჭყლეტს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე“...

„მე ეს გვირგვინი არ მინდოდა, თქვენ მაიძულეთ“...

აი, რაზეა ეს სპექტაკლი.

ვითომ ჩიტი ჩიორა გვეცოდება, ადამიანს კი ადვილად გავიმეტებთ. რომ მოვკლავთ, „არა კაც კლა“ მერეღა გაგვახსენდება.

ვითომ გაგვახსენდება!

აი, რაზეა ეს სპექტაკლი.

* * *

აქ არც ილიას „ბედნიერ ერს“ ახსენებენ და არც აკაკის მწარეზე მწარე ნათქვამს („ფურთხის ღირსი ხარ“...), მაგრამ ერთიც გაგახსენდებათ და მეორეც.

პირველს უკვე მოხმობილი ფრაზა გაგახსენებთ, სპექტაკლს რეფრენად რომ გასდევს: „ჩემო ერო, სანდომიან ლამაზ მამულში“...

აკაკის მწარე სიტყვები კი მაშინ მოგაგონდებათ, როცა ყველა „მესიას“, სინამდვილეში კი ყველა ყვარყვარეს, ამქვეყნიდან ფურთხით გაისტუმრებენ...

დგება ეტაპი, როცა ორი ყვარყვარე ერთდროულად გამოგვეცხადება.

ხალხს სიმართლისა და ჭეშმარიტების ქადაგებას დაჰპირდებიან.

დაუჯერებენ და ერთ გვირგვინს ორივეს დაადგამენ.

სამეფო გვირგვინის ორად გაყოფა – მართლაც დიდებული სცენა.

თუმცა, მომდევნო კიდევ უკეთესია: ლამპის შუქისა და გიტარის თანხლებით.

ჯერ იშნელები მღერიან, შემდეგ – ზაზა ლებანიძე და ნინო არსენიშვილი.

რა საჭიროა სიმართლე და ჭეშმარიტება, სიცრუე დედაენას სჯობსო, – მღერიან ისინი.

კი არ მღერიან, სიმღერას თამაშობენ.

ლიზა ბაგრატიონი სცენაზე საერთოდ არ ჩანს, მაგრამ ისიც თამაშობს. მსახიობების მიერ წარმოთქმულ ფრაზებს სიმღერით იმეორებს და ლამაზი, ფერებით მდიდარი ხმით, სათქმელის სიღრმესა და დრამატიზმს გამოკვეთს.

ეს არ არის სიმღერა სიმღერისათვის.

აქ გალაკტიონიც გაგახსენდება: „არსად ისე არ მღერიან“...

მაგრამ აქ ამასაც გვეუბნებიან: „როდემდე უნდა იღიღინოთ ასე, თქვე უბედურებო?!“

შეუძლებელია, აქაც ილია არ გაგახსენდეს: „როდემდის უნდა დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?..ჩემო საყვარელო მიწა-წყალო,მომეც ამის პასუხი!..“

* * *

როცა „ზემოთ“ შეუფერებელი სიმღერით ჩვილს ვერ აძინებენ, „ქვემოთ“ ამას ნატრობენ: ნეტავ ჩვენ გვიმღეროდეს, რა ტკბილად დავიძინებდით.“

ილია კი ასე ოხრავდა: „ო, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

მუხრან მაჭავარიანიც ამას წუხდა: „როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე,/ქვეყანას ღვიძავს, დღეს ძინავს ვისღა?/ჩვენი მზის სხივს და ჩვენი მზის ყურძენს/ როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!

ეს საწუხარი დღესაც ძალაშია. მართალია, მზე ჩრდილოეთიდან აღარ ამოჰყავთ, მაგრამ ჩვენი სანდომიანი, ლამაზი მამულის ერთ მესამედს მწუხრის ზეწარი ისევ იქიდან აქვს გადაფარებული.

შემთხვევით არ უწოდებს ზვიად გამსახურდია, ერთ-ერთ თავის ლექსში (ისევ ლექსი!) ჩრდილეთს.

რა ზუსტი, რა ბრწყინვალე მეტაფორაა.

* * *

მსახიობები?

ვის თამაშობენ ისინი?

პერსონაჟებს სახელები არცა აქვთ.

სახელები თვითონ უნდა „დავარქვათ.“

მაგალითად, ზაზა ლებანიძის ერთ - ერთი პერსონაჟი, რომელმაც ჩვილად მოვლენილი მხსნელი უნდა გაზარდოს (ისევ ილია: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს...“), ალბათ, ქართვლის დედად უნდა აღვიქვათ.

მანანა გამცემლიძის პერსონაჟი – ავ ბედისწერად თუ ბოროტ მპყრობელად...

„დედა (ქართვლისა) ჩვილის დაძინებას ცდილობს.

„ვერ აძინებს.“

„ვერც დააძინებს, ისე უმღერის.“

„იავნანას“ არ უმღერის და იმიტომ.

* * *

ერთ-ერთ საუკეთესო სცენას ასე ჰქვია:„სიმღერა ვირის ჭკუაზე.“

ასიათასი კაცის ჭკუა ვირის ჭკუას ვერ მოერევა, ათასი კაცის ძალას კი ერთი კაცის ჭკუა აჯობებს. – ასეთია ამ სიმღერის არსი. ამას „ქვემოთ“ მღერიან, „ზემოდან“ კი მწარე სიტყვებს ჩამოსძახებენ (ღიღინით): „თქვენ ერთი კაცის ჭკუაც ვერ გიშველით, იმედი ნუ გექნებათ“...

* * *

სპექტაკლის შემდეგ მომიახლოვდება ერთი ქალბატონი, რომელსაც სულ თეატრში ვხედავ და მომმართავს: „ბატონო სოსო, იმ „ერთ კაცში“ ბიძინა ივანიშვილი ხომ არ იგულისხმება?“ამ შეკითხვას რა უჭირს, ადვილად უპასუხებს კაცი, კიდევ კარგი, ის არ მკითხა, გვირგვინს მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს ხომ არ უყოფენო...

არადა (ეს უკვე ითქვა), სპექტაკლში კონკრეტული დრო არ არსებობს. ესენი ყველა დროის პერსონაჟები არიან, ყვარყვარესავით მარადიულები.

* * *

ფრაგმენტული გამოდის ჩემი შთაბეჭდილებები..

რეცენზიისთვის ეს დიდი ნაკლი იქნებოდა.

მაგრამ ეს რეცენზია არ არის.

ფანტაზიას ვწერ სტურუას ახალი სპექტაკლის მიხედვით.

მისგან ვისწავლე.

ფანტაზიის დადგმა თუ შეიძლება, დაწერა რატომ არ უნდა შეიძლებოდეს?!

თანაც ეს სტურუას ყველაზე „ფრაგმენტული“ სპექტაკლია, რომელიც კი ოდესმე დაუდგამს.

მაგრამ რა დიდოსტატურად აქვს ასხმული ეს ფრაგმენტები?!

დიდოსტატია და იმიტომ.

* * *

ისევ მსახიობები.

უსამართლობა იქნებოდა, არ აღგვენიშნა მარი ჯანაშიას, თათული დოლიძის, მანანა გამცემლიძის ახალი საინტერესო როლები, არ უნდა დავუკარგოთ რეჟისორული ჩანაფიქრის ზუსტად და ოსტატურად გადმოცემა დარეჯან ხარშილაძეს, მარინა კახიანს, ნანა ლორთქიფანიძეს, ნინო არსენიშვილს, მარიკა ჭიჭინაძეს, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეკა მინდიაშვილი ჩვენთვის აქამდე უცნობ შესაძლებლობებს ავლენს...

კი, ეს არ არის „მარია კალასი“, სადაც „მსახიობი ყველაფერია“, ეს წმინდა წყლის რეჟისორული წარმოდგენაა, მაგრამ აბა გამოაკელით ამ სპექტაკლს ზაზა ლებანიძის ნიჭიერება და ოსტატობა – რა მნიშვნელოვანი ფერი დააკლდებოდა რეჟისორის უაღრესად საინტერესო ქმნილებას!

* * *

ტელეჟურნალისტმა სტურუას მაინც ჰკითხა, სპექტაკლი რაზეაო.

რეჟისორმა შემწყნარებლურად გაიღიმა და ასე უპასუხა: „„რაკი უკვე დაბერებული კაცი ვარ, გადავწყვიტე, სცენიდან სიმართლე ვილაპარაკო.“

სტურუა რის სტურუაა, რაიმე უცნაური რომ არ თქვას.

განა ყოველთვის სიმართლეს არ ლაპარაკობდა?!

ეს კია: ილიასეული სიმართლე პირველად გვითხრა.

რობერტ სტურუა დიდხანს მიდიოდა ილიასაკენ.

გვიან მიხვდა ერთ ჭეშმარიტებას: რაგინდ დიდი ხელოვანიც იყო, თუ ქართველი ხარ, მთავარი ისაა, რომ ერის წყლული გაჩნდეს წყლულად.

მხოლოდ მაშინ გაქვს ასე მიმართვის უფლება: „ჩემო ერო“...

მაგრამ აქ ჩასაფრებული იყო ერთი საშიშროება: „პატარა მტრებს“ ახლა ის არ ეთქვათ, ილიობა მოინდომაო.

სტურუა ძალიან ჭკვიანია საიმისოდ, რომ ამის საბაბი არავის მისცეს. „პატარა მტრებსაც“ გზა ასეთი მიმართვით მოუჭრა: „ჩემო დასო“...

ამ მიმართვაში კი ერთი ძალიან პრინციპული რამ ითქვა: „ცუდი ხელოვანი რყვნის ერს!“

ჭეშმარიტად!

მაგრამ რას აკეთებს დიდი ხელოვანი?

ერს მართალ სარკეში ახედებს.

ილიას მსგავსად.

მაგრამ სად არის გზა ხსნისა?

ევალება კი ხელოვანს მისი ჩვენება?

ეს ურთულესი კითხვაა.

ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია: ხელოვანმა, ყველაზე მწარე სიმართლის მთქმელმაც, ერს იმედი უნდა ჩაუსახოს.

ბოლო ფრაზა, რომელსაც ამ სპექტაკლში ვისმენთ, ესაა: „როდემდე უნდა იღიღინოთ ასე, როდემდე?!“

ზაზა ლებანიძე ამ ფრაზაში ისეთ თანაგრძნობას და სიყვარულს აქსოვს, ტანში ჟრუანტელი დაგივლის..

იქნებ სწორედ ამ ღიღინმა გადაგვარჩინა?

გალაკტიონმა ივერიის რიცხობრივად პატარა ერის გადარჩენა ლირიკას დააბრალა („აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება“).

ღიღინიც ლირიკაა...

თანაც, როცა ღიღინებენ, რა საჭიროა სიმართლეო, ამასაც ხომ ამბობენ, სიცრუე დედაენას სჯობსო...

მაშასადამე, დედაენის ფასი იციან.

ესეც იმედია...

* * *

სტურუა არავის ჰგავს.

არც თავის პედაგოგს.

თუმანიშვილი - ყოველმხრივ მოწესრიგებული.

სტურუა – სრული ანტიპოდი.

თუმანიშვილი ინტერვიუზე შეგითანხმდებოდა და არ მოვიდოდა?! -ეს გამორიცხული იყო.

სტურუასთან გამორიცხული არაფერია (ალბათ, მიხვდით, რატომაცა ვარ ნაწყენი)...

რა ეპითეტს არ მოისმენთ მისი მისამართით, განსაკუთრებით, სოციალურ ქსელში აქტიურობის გამო. ვერც კი დაიჯერებ, რომ ზოგიერთი სტატუსი მართლა მისი დაწერილია. ან როდის იცლის საამისოდ?!

მინდოდა, მისთვის ესეც მეკითხა: დიდ ხელოვანს, თუნდაც გენიოსობასთან მიახლოებულს (ასეთადაც ხშირად მოიხსენიებენ) ყველაფერი ეპატიება?

როგორ ფიქრობთ, რას მიპასუხებდა?..

მთავარი მაინც ისაა, რომ სტურუა გვყავს.

თანაც უკვე ილიას გზაზე შემდგარი...

იოსეგ ჭუმგურიძე

◎ ვითარება

კურტანიძის გადაწყვეტილებას პრეზიდიუმმა მხარი არ დაუჭირა

(პირველი გვერდიდან)

სიტუაციის დაწვრილებით შესწავლა ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს დაევალა. საბჭოს ხელმძღვანელის, ვეტერან მოჭიდავე რომან რურუას განცხადებით, საკითხის შესასწავლად ერთთვიანი ვადაა გამოყოფილი. სწორედ ერთ თვეში მიიღებს სამეთვალყურეო საბჭო კონკრეტულ გადაწყვეტილებებს და პრეზიდიუმს წარუდგენს.

ლუკა კურტანიძის მოწინააღმდეგე სპორტსმენები პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი დარჩნენ და განაცხადეს, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში ფედერაციის პრეზიდენტს ვაკის ფალავანთა კლუბში, საკუთარ კაბინეტში შესვლის უფლებას არ მისცემენ.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა. სამინისტროს წინ პრეზიდენტის გადადგომის მსურველი მოჭიდავეები, ვეტერანები და მწვრთნელები იყვნენ შეკრებილნი. სამინისტროში მისულ კურტანიძეს დამხვდურებმა კვერცხები ესროლეს.

აქამდე ვიცოდით და გვეამაყებოდა, რომ მოჭიდავეთა ოჯახი ერთიანობითა და მონოლითურობით გამოირჩეოდა, თუმცა ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბზარის გაჩენისგან არც ერთი ოჯახი არაა დაზღვეული, მით უმეტეს – საქართველოში, სადაც, თუ სადავეები მიუშვი, ციხეს შიგნიდან ისე გაგიტეხენ, თვალსაც არ დაახამხამებენ.

მე თუ მკითხავთ, ფედერაციის თავკაცზე ახიცაა, ასე რომ მოექცნენ. და იცით, რატომ?

შემწყნარებლობა და პატიების უნარი, იცოცხლეთ, ადამიანს ღირსებას მატებს, მაგრამ როცა ქვეშევრდომებს, ამ შემთხვევაში ნაკრებთა მწვრთნელებს, ზედიზედ ორ მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე ჩავარდნას (დიახ, ჩავარდნას, რადგან ჩვენნაირი მდიდარი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქვეყნის დელეგაციის სამშობლოში ოქროს მედლის გარეშე დაბრუნება სწორედ ასეთ შეფასებას იმსახურებდა) შეუნდობ, უმალ წამოყოფენ ხოლმე თავს ჩასაფრებული მედროვენი და ლმობიერებას ცხვირში ძმრად ამოგადენენ.

შეიძლება ასეთთა მარაქაში გარევამ ხალიჩის ზოგიერთ დიდოსტატს თავმოყვარეობა შეულახოს, მაგრამ როცა საქმე პიროვნებისთვის კვანტის დადებას ეხება, სათქმელი პირუთვნელად უნდა ითქვას.

და კიდევ – დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, მეამბოხეთა შორის ის ზონდერებიც იქნებიან, გულშემატკივრები ფალავნებად რომ ვიცნობდით და ცოტანი თუ წარმოვიდგენდით, ფიურერის დაძახილზე როგორ გამეტებით არბევდნენ წინა ხელისუფლების ტირანიის წინააღმდეგ აზვირთებული საპროტესტო მიტინგების მონაწილეებს.

დაისაჯა მათგან ვინმე? არა. ჰოდა, ამიტომაც შვა დაუსჯელობამ ბუნტი მოჭიდავეთა ამქარში.

გია პლატონიშვილი

◎ ჭადრაკი

მართლაც ნონას საკადრისად

მოჭადრაკე ქალთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატში ბათუმის „ნონამ“ (დამფუძნებელი გიორგი ჭანტურია, კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე, გუნდის წევრები – ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, ნინო ბაციაშვილი, მირანდა მიქაძე, მთავარი მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი, მწვრთნელი დავით ჯოჯუა) წლეულს პირველად იასპარეზა. იმის მიუხედავად, რომ ვარსკვლავებით დახუნძლულ გუნდებს ეჯიბრებოდა, შვიდტურიანი მარათონი უდანაკარგოდ ჩაამთავრა და 14 შესაძლებლიდან ქულათა მაქსიმუმით ჩემპიონობა მოიპოვა (გუნდის წევრთა საერთო მონაგარი – 20,5 ქულა: ძაგნიძე – 4 ქულა 5 პარტიიდან, ხოტენაშვილი-5 (7), მელია-5 (7), ბაციაშვილი 4,5 (7), მიქაძე-2 (2) ქულა). 2004-2005 წლების შემდეგ (მაშინ თბილისის ნტნ-მა დაიმსახურა ოქროს მედლები) მსგავსი წარმატებისთვის ქართულ კლუბებს არ მიუღწევიათ. ბოლო ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა 2.5:1.5 მოუგეს „ნაშე ნასლედიეს“ (რუსეთი), რომელსაც 11 ქულით (19) ბრინჯაოს მედალი ერგო. 12 ქულით (19) მე-2 ადგილზე ევროპის ხუთგზის ჩემპიონი „მონტე კარლო“ (მონაკო) გავიდა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: **IV**. „იუგრა“ (ხანტი-მანსიისკი, რუსეთი) – 8 (17), **V**. „ბად კიონიგსხოფენი“ (გერმანია) – 7 (16), **VI**. „ლადია“ (ყაზანი, რუსეთი) – 6 (15,5), **VII**. „რიშონ ლეციონი“ (ისრაელი) – 2 (4,5), **VIII**. „ჰერცლია“ (ისრაელი) – 0 (1,5) ქულა.

დაფების მიხედვით მცირე მედლების მფლობელებიც გამოვლინდნენ:

I დაფა. 1. ჰოუ იფანი, 2. ნანა ძაგნიძე, 3. ანა უშენინა.

II დაფა. 1. ალექსანდრა კოსტენიუკი, 2. ანა მუზიჩუკი, 3. ნატალია პოგონინა, 4. ბელა ხოტენაშვილი.

III დაფა. 1. ანასტასია სავინა, 2. სალომე მელია, 3. ეკატერინა ატალიკი.

IV დაფა. 1. მარინა გუსევა, 2. ალინა კაშლინსკაია, 3. ნინო ბაციაშვილი.

V დაფა. 1. ეკატერინა კოვალევსკაია, 2. ტატიანა შადრინა, 3. ელმირა სკრიპჩენკო, 4. კარინა ამბარცუმოვა, 5. მირანდა მიქაძე.

ვაჟებში ასევე 14 ქულით ერთწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონობა დაიბრუნა აზერბაიჯანის „სოკარმა“ (შაჰრიარ მამედიაროვი, ვესელინ ტოპალოვი, მაიკლ ადამსი, ანიშ გირი, ტეიმურ რაჯაბოვი, ვან ჰაო, ანტონ კორობოვი, ელთაჯ საფარლი). მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, შარშანდელი გამარჯვებული ჩეხეთის „ნოვი ბორი“ (12 ქულა) და რუსეთის „მალაქიტი“ (11 ქულა) გავიდნენ.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან – გიორგი ჭანტურია, მარიკა ჯაფარიძე, ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, მირანდა მიქაძე, ხვიჩა სუპატაშვილი, სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილი.

◎ ხელგურთი

ევროპას თბილისი უმასპინძლებს

დუბლინში გაიმართა 17-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. ფინალური ეტაპის 15 საგზურისთვის 33 ნაკრები იბრძოლებს. ისინი 9 ჯგუფში გადანაწილდნენ. საქართველოს ნაკრები მე-3 ჯგუფში მოხვდა ნორვეგიასთან, ჰოლანდიასა და ლიტვასთან ერთად. საგულისხმოა, რომ ამ ჯგუფის პაექრობებს თბილისი უმასპინძლებს. შესარჩევი ტურნირები 2015 წლის 20-22 მარტს გაიმართება, ფინალური ეტაპი კი 13-23 აგვისტოს მაკედონიაშია დაგეგმილი.

გაუწყებთ წილისყრის შედეგებს (მუქად გამოყოფილია მასპინძელი ქვეყნები):

I ჯგუფი. დანია, საფრანგეთი, სერბეთი, **შვეიცარია**.

II ჯგუფი. რუსეთი, ჩეხეთი, ისლანდია, **ფარერები**.

III ჯგუფი. ნორვეგია, ჰოლანდია, ლიტვა, **საქართველო**.

IV ჯგუფი. **უნგრეთი,** გერმანია, საბერძნეთი, უკრაინა.

V ჯგუფი. ჩერნოგორია, ესპანეთი, სლოვენია, **მოლდოვა**.

VI ჯგუფი. შვედეთი, სლოვაკეთი, ავსტრია, **კოსოვო**.

VII ჯგუფი. პორტუგალია, პოლონეთი, **იტალია**.

VIII ჯგუფი. **ხორვატეთი,** ბელარუსი, ლატვია.

IX ჯგუფი. **რუმინეთი,** თურქეთი, ფინეთი.

I-VI ჯგუფებიდან ფინალში 2-2 გუნდი, ხოლო დანარჩენი სამი ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის.

გივი გაგუა

სურათზე: ხელბურთელ გოგონათა საქართველოს ნაკრები.

◎ ძიუდო

რუმინული ტრიუმფი

ბუქარესტში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა 38 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ინდივიდუალური პირველობის ხუთი მედალი და გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს.

ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) რუმინეთს ახალგაზრდებში ევროპისა

და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში ეწვია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანატოლებში ბადალი არ ჰყავს. პირველ წრეში მან პოლონელი რაფალ კოზლოვსკი ორწუთნახევარში იპონით დაამარცხა, მეორე წრეში უმთავრეს კონკურენტს – უფროსებში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, უნგრელ კრიშტიან ტოტს იუკოთი აჯობა, შემდეგ ჰოლანდიელი მაქს დე ვრეეზე ნახევარ წუთში ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში ესპანეთის სახელით მოჭიდავე ნიკოლოზ შერაზადიშვილს ვაზარით სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი აზერბაიჯანელი ფირუდინ დადაშოვი შებოჭა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

თორნიკე ნაგლიაშვილმა (55) ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიცილა: რუსეთის ნაკრების წევრი გამზატ ზაირბეკოვი, სომეხი ვაჰაგ ჰოვსეპიანი, იტალიელი მანუელ ლომბარდო და აზერბაიჯანელი ნატიგ გურბანლი, ფინალი კი იტალიელ ანგელო პანტანოსთან დათმო. მსგავს წარმატებას მიაღწია ივანე ჯავახიშვილმა (60): პირველი მეტოქე – სერბი დენის ჟურაკიჩი არ გამოუცხადდა, შემდეგ წრეში ბრიტანელი სამუელ ჰალი დაჯაბნა, მერე ებრაელ დანიელ ბენ დავიდსა და იტალიელ ფაბიო ბასილეს მოუგო, თუმცა, გადამწყვეტ პაექრობაში ესპანელ ფრანსისკო გარიგო სოსას დანებდა. საქართველოს ნაკრებს მესამე ვერცხლის მედალი უშანგი მარგიანმა (81) მოუტანა. ფინალამდე მან სერბი სტეფან მაჟდოვი, ბულგარელი ივაილო ივანოვი, გერმანიის სახელით მოჭიდავე სანდრო მაქაცარია და მოლდოველი დორინ გოტონოაგა დაამარცხა, მაგრამ ოქროსთვის ბრძოლა სერბმა ნემანია მაჟდოვმა ჩვენებურს ერთი გაფრთხილებით მოუგო. ნახევარფინალში მაჟდოვმა ლევან გუგავა დაჯაბნა. ეს უკანასკნელი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. საბოლოოდ გია გუგავას შეგირდებმა ერთი ოქროთი, სამი ვერცხლითა და ერთი ბრინჯაოთი გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე-მესამე ადგილებზე რუსები (1,2,2) და ფრანგები (1,0,2) გავიდნენ.

ინდივიდუალური შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ 13 ქვეყნის ნაკრები გუნდურ ჩემპიონატში ჩაება.გია გუგავას გუნდი ბუქარესტში ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და თავისი ძალა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ჩვენები პირველ წრეში თავისუფალი იყვნენ, მეორეში საფრანგეთს 5:0 მოუგეს (გელა კელიხაშვილმა, კობა მჭედლიშვილმა, უშანგი მარგიანმა, ბექა ღვინიაშვილმა და გურამ თუშიშვილმა მეტოქეები დაჯაბნეს), ნახევარფინალში ქართველებმა რუსებს მოუგეს 3:2, ფინალში ასეთივე ანგარიშით უკრაინელებს აჯობეს და გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს. ბოლო ორ შეხვედრაში ნაკრებს მომგებიანი ქულები თუშიშვილმა მოუტანა: ჯერ ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ ტამერლან ბაშაევს, შემდეგ კი კონტინენტის ჩემპიონ იაკიმ ხამოვს სძლია. გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები ფრანგებსა და გერმანელებს ერგოთ.

ახალგაზრდებს შორის სეზონის უმთავრესი შეჯიბრება – მსოფლიოს ჩემპიონატი 22-26 ოქტომბერს მაიამიში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებულები.

◎ რაგბი

„როვიგოს“ შინ უნდა მოვუგოთ

გასულ უქმეებზე მორაგბეთა ევროპული „ჩელენჯქაფის“ საკვალიფიკაციო პლეი ოფის პირველი პაექრობა „თბილისის კავკასიელებმა“ სტუმრად გამართეს – იტალიის „როვიგოს“ დაუპირისპირდნენ. მატჩი ჩვენი ბიჭების აქტიური შეტევებით დაიწყო და მე-14 წუთისთვის 8:0 დაწინაურდნენ: ირაკლი ყიასაშვილმა არეკნით გახსნა ანგარიში, მერე გიორგი შკინინმა ლელო გაიტანა. ცივმა შხაპმა მასპინძლები გამოაფხიზლა – იტალიელებმა ჯერ ზუსტი საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირეს, ტაიმის მიწურულისთვის კი ორი ლელოთი და ერთი გარდასახვით წინაც გავიდნენ 7 ქულით. შესვენების შემდეგ ინიციატივას ისევ ქართველები დაეუფლნენ: ბექა წიკლაურმა ჯარიმა გაიტანა, შკინინმა მეორე ლელო მიითვალა, წიკლაურმა კი უნაკლოდ გარდასახა და „კავკასიელები“ 18:15 დაწინაურდნენ. მატჩის ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში მასპინძლები თავდაუზოგავად უტევდნენ და შეუპოვრობამ შედეგიც გამოიღო - ბოლო წამებზე ლელოც გაგვიტანეს

და გარდასახვაც ზუსტად შეასრულეს. „როვიგომ“ 22:18 გაიმარჯვა. განმეორებითი შეხვედრა 27 სექტემბერს „ავჭალაზე“ გაიმართება. ჩვენს გუნდს ხუთქულიანი სხვაობით გამარჯვება სჭირდება (რაც სულაც არ არის ძნელი) და ოქტომბრიდან ევროპული საკლუბო რაგბის ჯგუფურ ტურნირში ჩაერთვება. „როვიგო“-„კავკასიელებს“ შორის უძლიერესი ფინალურ ეტაპზე გასასვლელად უელსის „კარდიფ ბლუზს“, ინგლისის „ლონდონ აირიშსა“ და საფრანგეთის „გრენობლს“ დაუპირისპირდება.

ლევან მითაგვარია

◎ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲘᲚᲣᲔᲢᲔᲑᲘ

თენგიზ აბულაძის ფენომენი



ᲔᲫᲔᲑᲡ ᲔᲚᲘᲝᲖᲘ — „ნატვრის ხის“ გმირი, მიწას თხრის, ქვესკნელს ჩაჰყურებს, ხის კენწეროზე მიძვრება — უსასრულობაში ეძებს... ძნელია ნატვრის თვალის პოვნა, ძნელია სიმართლის, ჭეშმარიტების ძებნა... იქნებ არც მთლად ზუსტი პარალელია, მაგრამ ხელოვანის ბედი (ამ შემთხვევაში თენგიზ აბულაძისა) რაღაცით ჰგავს გაჯიუტებული, თავისი მიზნის მისაღწევად გაკერპებული ელიოზის ბედს. ეძებ, ეძებ, შეიძლება ვერც იპოვო, მაგრამ არ უნდა მოდუნდე, რადგან, ხატოვნად თუ ვიტყვით, სწორედ ჭეშმარიტების ძიებაშია ჭეშმარიტება.

დიდი ქართველი კინორეჟისორის, ფილმ „ნატვრის ხის“ ბრწყინვალე დამდგმელის თენგიზ აბულაძის მთელი შემოქმედებითი გზა ხომ ჭეშმარიტების ძიებაში გაილია? ძნელად სავალი იყო ეს გზა, თუმცა, ხელოვანს ნირი ვერ შეაცვლევინა და ერთიმეორეზე ძვირფასი „განძეული აპოვნინა“, რაც, დღეს უკვე ეროვნული კინოს შედევრებად აღიქმება.

მაგრამ როგორ დაიწყო ეს გზა?

აი, რა მიამბო 30 წლის წინათ 60 წლის **თენგიზ აბულაძემ** „თერთმეტსართულიანის“ ერთ-ერთ მყუდრო ბინაში. მე ფოტორეპორტიორი თედო ნიკოლაიშვილი მახლავს. იგი აქეთ-იქიდან უტრიალებს მასპინძელს, აჩხაკუნებს და აჩხაკუნებს ფოტოაპარატს... ჩვენ მაგიდასთან ვსხედვართ და ბატონი თენგიზი შორიდან იწყებს მოყოლას:

დაბადებულია ქუთაისში 1924 წლის 31 იანვარს, 1943-46 წლებში სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში. მისი პედაგოგები იყვნენ გიორგი ტოვსტონოგოვი და დიმიტრი ალექსიძე, 1946-1953 წლებში სწავლობდა „ვგიკის“ სარეჟისორო ფაკულტეტზე სერგეი იუტკევიჩის სახელოსნოში. სარეჟისორო ხელოვნებას ასწავლიდნენ აგრეთვე მიხეილ რიმი, ლევ კულეშოვი, ალექსანდრე ხახოლოვი, ალექსანდრე დოვჟენკო, ვსევოლოდ პუდოვკინი... ისმენდა სერგეი ეიზენშტეინის ლექციებს.

— ყველაზე ღრმა კვალი ჩემს შემდგომ მოღვაწეობას გამოჩენილმა საბჭოთა რეჟისორმა მიხეილ რომმა დააჩნია, ასაკით კი იყო განსხვავება, მაგრამ იგი სიამოვნებით მეგობრობდა ჩემთან. და კიდევ: მყავდა ერთი მოძღვარი — ბრწყინვალე პიროვნება და მეცნიერი, აწ განსვენებული პროფესორი გრიგოლ კიკნაძე... მოხდა ისე, რომ ბატონი გრიგოლი ჯერ თბილისის 27-ე სკოლაში მასწავლიდა ქართულ ლიტერატურას, მერე თეატრალურ ინსტიტუტში მიკითხავდა ლექციებს. ვმეგობრობდით. უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში ხშირად ვაკითხავდი, კინოფილმი „ვედრებაც“ მან შთამაგონა... რეჟისურა უპირველესად მსოფლმხედველური კატეგორიაა და მის ჩამოყალიბებაში გრიგოლ კიკნაძის ამაგი ჩემდამი განუსაზღვრელია...

— საინტერესოა, თქვენი რომელი ფილმი გიყვართ უფრო მეტად?

— რა თქმა უნდა, „ვედრება“. იგი, ჯერჯერობით, ჩემი ყველაზე საინტერესო ნამუშევარია... „ნატვრის ხემ“ ძალიან გამითქვა სახელი, ჩვენთანაც მოსწონთ და საზღვარგარეთაც, მაგრამ ჩემთვის „ვედრება“ სულ სხვაა. იცით, მუშაობის პროცესში ხშირად დგება ისეთი მომენტი, როდესაც ფილმი მოგბეზრდება, გინდა, საერთოდ შეეშვა გადაღებას. აქ სხვა ამბავია: „ვედრება“ რამდენჯერაც უნდა ვნახო, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოვაჩენ ხოლმე შიგ, და ეს ალბათ, იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა უკიდეგანო შემოქმედია, ღრმად ფილოსოფიურია მისი პოეზია...

— „ყელსაბამი სატრფოსათვის“ თითქმის თქვენ სტილში „არ ზის“. რამ შთაგაგონათ ამ ფილმის გადაღება?

— გამოხატვის ახალ ფორმებს ვეძებდი. საინტერესო იყო, როგორ შეერთდებოდა ერთ ნაწარმოებში ექსცენტრიკა და პოეზია, ფილოსოფიური და ხალხური, პირობითობა და რეალიზმი...

— გიორგი ლეონიძის პროზა ზოგს არაკინემატოგრაფიულად მიაჩნია. რატომ გადაწყვიტეთ მისი გადაღება?

— მე არ მიმაჩნია ასე. ამ წიგნში გამოკვეთილი კოლორიტული, ხორცსავსე, ჭეშმარიტად ხალხური ხასიათებია გადმოცემული. ყოველი პერსონაჟი პიროვნებაა, ხოლო პიროვნება და პიროვნული არის ფუძე და ძირი ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოებისა. „ნატვრის ხემ“ მომხიბლა აგრეთვე თავისი ადამიანურობით, სიკეთით, პოეტურობით... საჭირო იყო ერთი „აზრობრივი ღერძის“ პოვნა, რომელზეც აისხმებოდა გიორგი ლეონიძის 21 ნოველა. შემოქმედებითი პროცესი ხომ ქაოსისგან წესრიგის შექმნას, უფორმოსათვის ფორმის მიცემას ნიშნავს და აქ დიდად დამეხმარა შესანიშნავი პროზაიკოსი რევაზ ინანიშვილი...

* * *

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ აღიარებით „ნატვრის ხე“ განსაკუთრებული მოვლენაა არა მარტო თ. აბულაძის შემოქმედებაში, არამედ მთელ სამამულო კინემატოგრაფიაში... ბევრი საერთაშორისო პრემია მიიღო ფილმმა, მაგრამ მაინც განსაკუთრებული იყო იტალიის სახელმწიფო პრემია — დონატელოს „დავითი“ და, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, რომლითაც რეჟისორი და უნიჭიერესი ოპერატორი **ლომერ ახვლედიანი** დაჯილდოვდნენ 1979 წელს.

განა შეიძლებოდა თენგიზ აბულაძესთან საუბარში რევაზ ჩხეიძე არ მეხსენებინა? ისიც სახელოვანი კინოხელოვანი, ძმა და მეგობარი თენგიზ აბულაძისა. ისინი ერთად შევიდნენ „ვგიკში“, ერთად გადაიღეს სადიპლომო ნამუშევარი — ფილმი-ნარკვევი „დიმიტრი არაყიშვილი“, რომელიც სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ „ფრიადზე“ შეაფასა. თბილისში დაბრუნებულებმა ერთად შექმნეს დოკუმენტური ფილმები: „ჩვენი სასახლე“ და „ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“... ახლა, „მაგდანას ლურჯას“ არ იკითხავთ?! იგი იყო სრულიად ახალი სიტყვა ქართულ კინემატოგრაფიაში. ახალგაზრდა კინორეჟისორებმა უბრალოდ და შეულამაზებლად დაგვიხატეს უბედური ქვრივ-ობლების სულისშემძვრელი ამბავი. შედეგი? მანამდე არნახული: თენგიზ აბულაძისა და რევაზ ჩხეიძის ფილმმა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე „გრან პრი“ მოიპოვა, როგორც საუკეთესო მხატვრულმა ფილმმა.

დარჩა დიდი მეგობრობა, ოღონდ შემოქმედებით გზაზე უკვე ცალ-ცალკე წავიდა ორი რეჟისორი. შემდეგი ფილმი დამოუკიდებლად გადაიღო თენგიზ აბულაძემ. „სხვისი შვილები“ გვარიანად გაუკრიტიკეს, ნეორეალიზმისადმი ერთგვარი ხარკის გაღებაც არ მოუწონეს. არადა, თენგიზ აბულაძის თქმით, მას უნდოდა შეექმნა ნაწარმოები, რომელიც სიკეთისადმი სწრაფვის, სიყვარულის, მოვალეობის კეთილშობილურ გრძნობებს გაუძლიერებდა მაყურებელს. ეს არის კიდეც ფილმის მთავარი იდეა. „სხვისი შვილები“ პრემიებით აღინიშნა პორეტა ტერმას, თეირანის, ლონდონისა და ჰელსინკის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ვის არ ახსოვს, რა ხმაურით შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. და აი, თენგიზ აბულაძე დაინტერესდა როგორ ამეტყველდებოდა კინოეკრანზე ეს ნაწარმოები. მოთხრობაში რეჟისორი მიიზიდა საოცარმა ადამიანურმა ურთიერთობებმა, ხალხურმა იუმორმა, ჰუმანიზმმა....

გამოვიდა ფილმი და ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ აქცია თ. აბულაძემ ერთი ქართული სოფლის ამბავი მთელი ხალხის ამბად, აქ ძალუმად გამოჩნდა პოეტურ-ფილოსოფიური განზოგადების აბულაძისეული ტალანტი, შესაშური გრძნობა ჰარმონიულობისა. ფილმმა ბრატისლავის საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

— სამომავლოდ რას გვპირდებით?

— მომავალ ფილმს „მონანიება“ ერქმევა და შეკრავს ტრილოგიას — „ვედრება“, „ნატვრის ხე“, ამავე დროს დაასრულებს ფილმების ციკლს რწმენაზე. მაღალი მისწრაფებებისა და სპეტაკი იდეალების გარეშე ცხოვრება შეუძლებელია... ჩვენი სურვილია, ვაგრძნობინოთ მაყურებელს, თუ რარიგ დამღუპველია მათთვის „ბილწთან ზავის შეკვრა“, რარიგ აუცილებელია, დაუღალავი გულითა და მკლავით ბოროტებასთან ბრძოლა.

„მონანიება“ რა დონის ფილმიც გამოვიდა, ყველამ კარგად ვიცით. მას არ დაჰკლებია ჩვენებური თუ უცხოური მაყურებლის ქება-დიდება, არც პრიზები დაჰკლებია სხვადასხვა ფესტივალებზე, „მონანიებას“ მსოფლიოს 120-მდე ქვეყანაში უჩვენებდნენ... ლონდონში ერთ დღეში „მონანიების“ 5000 კასეტა გაიყიდა...

* * *

თენგიზ აბულაძე კარგა ხანია ჩვენს შორის აღარ არის. როგორც მისი უსათნოესი ქალიშვილი, ნინოს როლის შემსრულებელი „მონანიებაში“, მსახიობი **ქეთევან აბულაძე** ამბობს, 1976 წელს ერევანში კინოფესტივალზე „ნატვრის ხე“ მიჰქონდა, სევანის გზაზე მის მანქანას „კამაზი“ დაეჯახა, გადარჩა, მაგრამ რეციდივები კარგა ხნის შემდეგ გამოვლინდა და გადაიყოლა კიდეც. ამჟამად იგი 90 წლისა იქნებოდა. და თუ დღეს მთელ კინოსამყაროს, რომ იტყვიან პირზე აკერია „ქართული კინოს ფენომენის“ არსებობა, ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად, ჩვენი კინოს დიდოსტატთა, მათ შორის, თენგიზ აბულაძის, განსაკუთრებულმა ფენომენმა განაპირობა.

საქართველო ამაყია ამით!

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ: მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს დიდი ქართველი რეჟისორის დაბადების 90 წლისთავი შესრულდა, რაც, მიზეზთა და მიზეზთა გამო, სათანადოდ არ აღნიშნულა. ბატონი თენგიზის რძალს, „მონანიების“ გადაღების დროს მის „მარჯვენა ხელს“, თავადაც უნიჭიერეს კინორეჟისორს ნანა ჯანელიძეს, აბა, რა მოასვენებდა? ჰოდა, ამ რამდენიმე დღის წინათ მისი ინიციატივით ბათუმში გაიმართა თენგიზ აბულაძის ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდა მსახიობი ავთანდილ მახარაძე — აბელ და ვარლამ არავიძეების როლების გენიალური შემსრულებელი „მონანიებაში“.

ქალბატონი ნანა ამბობს, რომ „მთელი ხმით“ თენგიზ აბულაძის დაბადების 90 წლისთავი დეკემბერში აღინიშნება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს საგამოძიებო სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილის ზაზა მელიქიშვილის მეუღლის

ᲜᲣᲜᲣ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ნოდარ და ნინო ხადურები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილის ზაზა მელიქიშვილის მეუღლის

ᲜᲣᲜᲣ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება დისშვილის

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲤᲣᲠᲪᲮᲕᲐᲜᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 IX, 17 სთ. დაკრძალვა 25 IX, 14 სთ. ჭიათურა, ინტერნაციონალის 8.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

21 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საქალაქო სასამართლოს ეზოში ხმაური იყო. 2013 წლის დეკემბერში მოკლული 21 წლის ჯემალ შელიას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რომლის მიხედვითაც მოსამართლე გიორგი დარახველიძის გადაწყვეტილებით, მკვლელობაში ბრალდებული ოთხი პირი საქალაქო სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა.

21 წლის ჯემალ შელიას მკვლელობაში ბრალდებულები იყვნენ კახაბერ წურწუმია, ტარიელ წურწუმია, აკაკი გვასალია და ზურაბ წურწუმია. ახლობლების ინფორმაციით, ერთ-ერთი ბრალდებული ტარიელ წურწუმია ამნისტირებული იყო და იგი სასჯელს მკვლელობის მცდელობისთვის იხდიდა.

ახლობლების ინფორმაციით, ოთხივე მათგანი ერთმანეთის ოჯახის წევრები და ნათესავები არიან. რაც შეეხება შემთხვევას, მკვლელობა გასული წლის 24 დეკემბერს, გლდანის მეორე მიკრორაიონში მოხდა. ჯემალ შელიას ახლობლების ინფორმაციით, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, შელიას მეგობრის დედა ვაჭრობდა, რა დროსაც ძმებმა წურწუმიებმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამას მოჰყვა მათი მხრიდან გამყიდველის შვილისა და მეგობრის გამოსარჩლება.

— წურწუმიებმა ამ დაპირისპირების დროს სასტიკად სცემეს ახალგაზრდები. ამ ჩხუბის დროს ჯემალ შელია მივიდა და შეეცადა სიტუაციის განმუხტვას. თუმცა, ისიც სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც გარდაიცვალა, — განაცხადეს ახლობლებმა.

ჯემალ შელიას დედა სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

— მკვლელის ცოლმა შემომითვალა, რომ ისეთი კაცი გვყავს, ამათ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებენო. რა სამართალზეა საუბარი, როდესაც 21 წლის შვილი მომიკლეს და მკვლელები დარბაზიდან გაათავისუფლეს, — განაცხადა გარდაცვლილის დედამ ირა ფიფიამ.

ახლობლების ინფორმაციით, ჯემალ შელია სიონში სტიქაროსანი იყო.

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ

ᲨᲡᲨ-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მერვე განყოფილებაში მოქალაქემ საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქემ წარმოადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა საბრძოლო მასალა: „ეფ-1“ის ტიპის 2 ხელყუმბარა და „ა-კა-ეს“ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 1 მჭიდი 30 ვაზნით. ექსპერტიზის დასკვნით, ჩაბარებული საბრძოლო მასალა გამოსაყენებლად ვარგისია.

სოსო პავლიაშვილი: ცოლს „ჩემ ძუ მგელს“ ვეძახი

კომპოზიტორსა და მომღერალს სოსო პავლიაშვილს მაყურებელი იცნობს, როგორც მეტად ექსპრესიულ, ემოციურ შემსრულებელს. ჩვენ გავიგეთ, როგორია ის პირად ცხოვრებაში.

სოსო პავლიაშვილი მეუღლესთან და შვილებთან

სიკეთე და ბოროტება

— სოსო, რამდენი წელია ესტრადაზე ხართ, მაგრამ არავის შეუნიშნავს, რომ რომელიმე სკანდალში გახვეულიყავით. როგორ ახერხებთ ამას?

— იცით, ვიღაცას უნდა ეს სკანდალი, მე — არა. როდესაც სცენაზე სიმღერას ვამთავრებ, იქ ვტოვებ მიკროფონს, დამოკიდებულებას შოუ-ბიზნესისადმი. ჩემს კოლეგებს, რომლებსაც აბსოლუტურად არ ვამტყუნებ და არც ამის გაკეთებას ვაპირებ, თავისი მიდგომა აქვთ ცხოვრებისადმი, თავისი პროფესიისადმი. მათ სჭირდებათ სკანდალები, მათ სურთ, რომ მათზე საუბრობდნენ „ყვითელი“, „ვარდისფერი“, „შავი“ პრესა. თუ ადამიანებს სცენისა და კარიერის გარდა არავინ ჰყავთ და არაფერი აქვთ, ესე იგი ისინი შეზღუდულები არიან, როგორც არ უნდა ბრწყინავდნენ. ისინი — აშკარაა — არიან მარტოსულები, უბედური ადამიანები.

მე ნიჭიერი კაცი ვარ და მიტომ ვარ ზედაპირზე. ნიჭიერი მუსიკოსი, ნიჭიერი მომღერალი, ნიჭიერი კომპოზიტორი, მერანჟირე, ნიჭიერი მსახიობი, და ამას არც ვმალავ, რატომ? ეს მე უფალმა მიბოძა. და ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა: მიიტანო შენი ნიჭი, შენი ენერგეტიკა პუბლიკამდე. ვერ ვიტყვი, რომ დადებითი ადამიანი ვარ, მაგრამ არც ნაძირალა ვარ. მაყურებელი ამას გრძნობს და იგი მე მენდობა.

მე იმათი მადლობელიც ვარ, ვინც გამყიდა, მაყენებდა ტკივილს, რატომღაც ისინი უფრო ძლიერს მხდიდნენ.

— მეჩვენება, რომ თქვენ სულაც არა გაქვთ კონფლიქტური ხასიათი. რატომ „გცემდნენ“?

— აი, ბევრს არ მოსწონს, რომ შენ კარგად გრძნობ თავს და თანაც ამ დროს ცდილობ, ვინმეს დაეხმარო. მე ასე მიმაჩნია: თუ სიკეთე გაგიკეთეს — გახსოვდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მაგრამ თუ თავად გაკეთე სიკეთე — დაივიწყე. და როდესაც ისინი, ვისთვისაც სიკეთე გამიკეთებია, იწყებენ ჩემთვის მადლობის გადახდას, იმისთვის, რომ მხარი დავუჭირე მძიმე პერიოდში, ასე ვუპასუხებ ხოლმე: „კარგი — კარგი — კარგი, არ მინდა შენი „მადლობა“, ოღონდ არავინ გამიკეთოს ცუდი, ზურგში დანა არ ჩამარტყას“. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც ამას ეუბნები, ისინი კი მაინც გირტყამენ. ისინი შენ სიკეთეს, კეთილ საქმეებს სისუსტედ მიიჩნევენ. სხვადასხვანაირები არიან ადამიანები, რას იზამ... ღალატის გადატანა მხოლოდ ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ, რასაც მეც ვაკეთებ.

— თქვენ ამას უმალვე ფილოსოფიურად უყურებდით?

— არა, უმალვე არა. თავდაპირველად ძალიან განვიცდიდი. მხოლოდ მერე „გავკაჟდი“. თუმცა, ყოველთვის ძლიერი ვიყავი. მინდა, კიდევ დიდხანს ვიცოცხლო და იქაც ძლიერი წავიდე.

გუნდის გრძნობა

— სოსო, მორალურად რომ ძლიერი იყო, უნდა იყო ამავე დროს ჯანმრთელი და ფიზიკურად ძლიერი. რას აკეთებთ თქვენ ამისთვის?

— ყოველდღე დავდივარ საათნახევარი — ორი საათი, ვცურავ აუზში. ჩემი ცოლიც — ირორჩკაც. ის მრავალი წელია ფიტნესითაცაა დაკავებული. მე, ირა, ირინას მამა ბორისიც — ის 60 წელსაა გადაცილებული, მაგრამ შეხედეთ, როგორ გამოიყურება. ჩვენ ყველა ერთად ვსეირნობთ ველოსიპედით, ვთამაშობთ ჩოგბურთს. ასე რომ, ძალიან აქტიურად ვცხოვრობთ, თავს არ ვაძლევთ მოსვენებას.

— თქვენი გოგონებიც მისდევენ სპორტს?

— ლიზა ჩოგბურთს თამაშობს, სანდრა კი ჯერ პატარაა.

— თქვენ თქვით, რომ შეამცირეთ თქვენი ურთიერთობის წრე მას შემდეგ, რაც პატარა გოგონა დაიბადა. რასთანა ეს დაკავშირებული? გადაწყვიტეთ არ დაკარგოთ დრო უცხო ადამიანებთან?

— კი. უმჯობესია იყო ბავშვთან აქ და ახლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანამ შენ, მხატვრულად რომ ვთქვათ, წახვალ იქ, მოხვალ აქ, ძვირფასი წუთები იკარგება, შენი გოგონა უშენოდ გაიზარდა... რა საჭიროა ეს? პატარა ყოველთვის უნდა გრძნობდეს შენს სიახლოვეს. თუ „გააჩინე“ ბავშვი, მასზე პასუხისმგებელიც შენ უნდა იყო... ასეთი ოცნება მაქვს: გარკვეული დროის შემდეგ ხელი მოვკიდო რაიმე წარმატებულ ბიზნესს, რომ გასტროლებზე ბევრი არ ვიარო. მოგინდა სიმღერა — წადი იმღერე, და არა ისე: თუ არ წახვალ გამოსვლაზე, ვიღაც შიმშილით მოკვდება.

მე ხელს მაძლევს საშუალო ლაშქრობა. ბევრი არ მინდა და საერთოდაც, კარგ ადამიანს ბევრი რამ არ უნდა, დამიჯერეთ. მინდა მთელი ოჯახი, ყველა მისი წევრი ჩავრთო საერთო საქმეში, რომ ისინი ჩემგან კი არ ელოდნენ რამეს, არამედ თავად გამოიმუშაონ ლუკმაპურის საფასური. საერთოდ საქმე საჭიროა იმისთვის, რომ რაც შეიძლება დიდხანს იყო ბავშვებთან. მე არასოდეს გავუშვებ მათ ჩემგან, მაგალითად, სასწავლებლად სადღაც უცხოეთში. არასოდეს! იმიტომ, რომ უმალვე იკარგება გუნდის გრძნობა, უმალვე იკარგება აი ეს ერთგულების, ქმედების შეგრძნება. რამდენი კარგი რამ არ უნდა მიამბონ ინგლისში, შვეიცარიაში სწავლის შესახებ, ამას ვერასოდეს დავიჯერებ.

— მოულოდნელია მოისმინო ეს პოპულარული მსახიობისგან! ჩვეულებრივად ჩვენი ვარსკვლავები ცდილობენ, გაგზავნონ თავიანთი შვილები საზღვარგარეთ, რომ უკეთესი განათლება მიიღონ...

— კარგი განათლება აქაც შეიძლება მიიღო! ბოლოს და ბოლოს, თუ შესაძლებლობა გაქვს, უნდა დაიქირავო ძლიერი რეპეტიტორი. სამაგიეროდ შენი შვილი შენს გვერდითაა, ის გრძნობს შენს სუნთქვას, შენ გრძნობ მას, ჩემთვის ამას წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მე არავის არაფერს ვუკარნახებ. ყველა თავის გზას თვითონ ირჩევს. როდესაც ნაკლებ ყურადღებას აქცევ შენს შვილებს, გაისმის გამართლება, რომ მათ ბევრი საქმე აქვთ. რაღაც ბიზნესისათვის დაძრწიან მთელ მსოფლიოში, მათ აქვთ ბევრი ფული. მაგრამ მათ არა აქვთ გუნდის გრძნობა, ისეთი, როგორიც მე. არ მინდა ამის დანგრევა, ყველაფერს გავცემ, რომ ეს გუნდი შევინარჩუნო, აი ეს შეგრძნება. ბუნებას თუ მივმართავ შედარებისთვის, მე ძალიან მომწონს მგლები — მათ უძლიერესი გუნდი აქვთ. ირორჩკას „ჩემ ძუ მგელს“ ვუწოდებ. ჩემი გუნდი — აი ესაა ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრე.

— დავინახე, როგორ აწყობდა ირინა „კლუმბას“ ორ თავის ქალიშვილთან ერთად თქვენი საოჯახო რესტორნის მახლობლად. სასიამოვნოა, როდესაც ამ ქალს უყურებ — თვალები უბრწყინავს, ღიღინებს სიმღერას, ხშირად მოდის თქვენთან, რომ მოგეხვიოთ. რას აკეთებთ იმისთვის, რომ ირინა ასეთი ბედნიერი იყოს?

— ეს ჩემი მისადმი სიყვარულია, ჩემი მისადმი ერთგულება. ის გრძნობს, რომ დაცულია, საყვარელია, სასურველი. ყოველდღე ხშირად ვეუბნები ირორჩკას: „მიყვარხარ!“ თუ სამუშაომ გამიტაცა და დამავიწყდა, ის ხუმრობით მეუბნება: „როგორ შეგიძლია ჩამიარო გვერდით ასეთ ლამაზ ქალს და არ მაკოცო?“ უმალვე ვიხდი ბოდიშს და მივდივარ ყვავილებზე. ეს სჭირდება ნებისმიერ ქალს, მამაკაცს უნდა გაუწიოს მას ემოციური მხარდაჭერა. თუ ქალი უბედურია — ეს ქმარია დამნაშავე. ვინაიდან მას მიჰყავს თავისი გუნდი.

ოლგა ბაბლინსკაია



◎ კადრი

ვაჟა ჭყონიას სიცილის კარდიოგრამა ქუთაისიდან

საიქიოში გატანებული წამლები

ქუთაისს ენაკვიმატები არ აკლია, მაგრამ ისეთი, როგორიც ომარ ქელბაქიანია, მართლაც რომ იშვიათობაა.

ძალზე ხნიერი ბებია რომ გარდამეცვალა, დაკრძალვისას თავკაცმა ჭირისუფლები გააფრთხილა: საიქიოში გასატნევი ნივთები არ დაგავიწყდეთ, არც ის წამლები, აქ რომ უნდა დაელია და ვერ მოასწროო.

თავკაცი რის თავკაცია, თუ მისი ყველა განკარგულება არ შესრულდა. ჭირისუფლებმა სასახლეში ყველაფერი ჩაალაგეს, პროცესია დაიძრა და ომარი ყველას გასაგონად ყვირის:

— შეჩერდით, კარგად შეამოწმეთ, ჩვენ რომ წამლები ჩავალაგეთ, ვადაგასული არ იყოს!

მართალია, ოთხი კაცის მხრებზე გადებული სასახლე მოგუდულ სიცილს ძლივს გადაურჩა, მაგრამ, რაც მთავარია, ბებიას საიქიოში ვადაგადაცილებული წამლებისგან საფრთხე უკვე აღარ ემუქრებოდა.

* * *

დაბადების დღე გამოიცნო

ვძეიფობთ, ერთი სტუმარი, სახელად სიმონი („ნარკუშების“ საყვარელი სახელი) სუფრას შეგნებულად ურევს (ხომ არიან ასეთებიც).

ლაპარაკს არავის აცლის. მოკლედ, მიბეგვის კანდიდატია, მაგრამ, რა ვქნათ, სტუმარია და რა ვუყოთ?

თანამეინახენი გვიხსნა, უფრო სწორად, სტუმარი ცემას გადაარჩინა ომარმა.

— ბიჭო, სიმონ! — ლაყაფად ქცეულს სიტყვა ჩაუჭრა ომარმა, — შენ უეჭველად აგვისტოში იქნები დაბადებული.

— საიდან იცი? — გაოცდა სიმონი.

— აბა, იანვარში რომელი დედა გასწირავდა თავს, რომ შენთვის ძუძუ მოეწოვებინა?

* * *

შურისძიება ნაღდ ანგარიშზე

რესტორანში 3 ძმაკაცი შევიდა. კარგად ისადილეს, თითო-თითო ბოთლი ცოლიკაური დააყოლეს და ანგარიში რომ მოითხოვეს, გაოცდნენ: 3 ლარი და 40 თეთრი უნდა გადაიხადოთო.

მეორე დღეს ამავე რესტორანს სამ ძმაკაცთან ერთად კიდევ 3 მათი მეგობარი ეწვია და კარგად შექეიფებულებმა 6 ლარი და 45 თეთრი გადაიხადეს.

კლიენტებმა მადლობა-მადლობის ძახილით დატოვეს რესტორანი და მთელი თვის განმავლობაში დღე არ გაუცდენიათ, რომ არ სტუმრებოდნენ და არ ექეიფათ...

— რა ხდება, რით აიხსნება ასეთი სიიაფე? — დაინტერესდნენ.

— რა ხდება და ამ რესტორნის პატრონი ბათუმში დედაჩემთან ნებივრობს. ჰოდა, ზღვიდან რომ დაბრუნდება, მინდა დარწმუნდეს, ვინ ვისი დედა აატირა! — გულახდილად აღიარა დაბოღმილმა ბარმენმა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24